გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№3781 (440 4-11 ოქტომბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

ალექსანდრე ჭაჭია: ამ არჩევნების დანიშნულება და მნიშვნელობა არის ის, რომ საბოლოოდ დასამარდეს ნაცმოძრაობის პრეტენზია ძალაუფლებაზე

გვ.2

ზურაბ კვარაცხელია: ამგვარი მავნებლური იდეის განხორციელება დამღუპველი იქნება რეგიონისათვის!

გვ.4

გვ. 3-5

სანდრა მფატრავი — შემზარავი ფაქტები სანდრა რულოვსის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ

რა თანხები შედიოდა ფონდ „იავნანაში" და რამდენად მიზნობრივად იხარჯებოდა ის?

გვ.4

ჩხოროწყუში დამზადებული აბრეშუმი მარსელსა და ლიონში

გვ.6

უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

გვ.6



გვ.7

„ესაა თარიღი, რომლის მიხედვით საბჭოთა მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ქართული ანბანი მესროპ მაშტოცმა დაწერა"

ჯუმბერ იზორია — გზა ღვაწლმოსილი ადამიანისა

გვ.9

გვ.7

თევზების მასობრივი დაღუპვა საქართველოს ტბებზე

სამეგრელოს მაღალმთიანეთში ცხოველთა ვაქცინაცია დროულად ჩატარდა

გვ.4

ალეთეია

ალექსანდრე ჭაჭია: ამ არჩევნების დანიშნულება და მნიშვნელობა არის ის, რომ საბოლოოდ დასამარდეს ნაცმოძრაობის პრეტენზია ძალაუფლებაზე



საქართველოში მიმდინარე პროცესებისა და წინასაარჩევნო პოლიტიკური ვითარების გაანალიზება ცნობილ პოლიტოლოგს, ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას** *ვთხოვეთ.*

– ბატონო ალექსანდრე, დიდი ხანია, ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის ანალიზით ქართულ პრესაში არ გამოსულხართ. საქართველოში მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ ამ პროცესების სერიოზული ანალიზის ნაკლებობაა, საერთოდ, საქართველოს შესახებ კვალიფიციური ანალიტიკური მასალების დიდი დეფიციტია...

– პოლიტიკური ანალიზის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, საინტერესო არ არის. ანალიზისთვის ის ქვეყნებია საინტერესო, რომლებიც, საკუთარი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ატარებენ ან ცდილობენ, გაატარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა. საქართველო ამ ქვეყნებს არ მიეკუთვნება. საქართველოს პოლიტიკური ქცევის ფორმულის გამოსაყვანად საკმარისია იცოდე წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის პოლიტიკის არსი. საქართველოს არავინ განიხილავს დამოუკიდებელ მოთამაშედ თუნდაც ამიერკავკასიაში, ამიტომ არც მსოფლიო მედია და არც სერიოზული პოლიტოლოგიური ცენტრები არ აანალიზებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და პოლიტიკურ ვითარებას. პირადად მე კი, როგორც ცნობილია, საკმაოდ ბევრს ვწერდი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, მათ შორის, თქვენ გაზეთშიც. შემიძლია გითხრათ, რომ ანალიზი, წინადადებები, რეკომენდაციები, რომლებიც მოცემული იყო თუნდაც 5-10-15 წლის წინანდელ სტატიებში, სამწუხაროდ, დღემდე აქტუალურია.

– რა არის ამგვარი პოლიტიკური სტაგნაციის მიზეზი?

– მიზეზი არის ის, რომ საქართველოში, მიუხედავად 25-წლიანი ფორმალური დამოუკიდებლობისა, ვერ ჩამოყალიბდა ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი პოლიტიკური კლასი. მეტიც, ვერ ჩამოყალიბდა მყარი იდეოლოგიური პლატფორმის, ალტერნატიული პოლიტიკური და ეკონომიკური კონცეფციების მქონე პოლიტიკური პარტიები, რომელთა შორისაც ელექტორატი შეძლებდა მისთვის მისაღები ძალის არჩევას. დააკვირდით, რა ესმის დღეს ამომრჩეველს პოლიტიკური ლიდერებისგან: **"მე ვარ პროდასავლური კურსის მომხრე, ვოცნებობ ნატო-სა და ევროკავშირში შესვლაზე, მიყვარს ამერიკა და ამერიკული ფასეულობები, ხოლო სხვებისგან იმით განვსხვავდები, რომ ნამდვილი მომხრე ვარ, გულწრფელად მიყვარს და გულწრფელად ვოცნებობ, ამიტომ უნდა ვიყო პრემიერი, ჩემი ცოლი – თავდაცვის მინისტრი, ჩემი ნათესავი – შინაგან საქმეთა მინისტრი, ჩემი საყვარელი – საგარეო საქმეთა მინისტრი და ა.შ."** სხვათა შორის, ანალოგიური რამ ესმის ამ ლიდერებისგან ამერიკის ელჩსაც: **"დამიჭირეთ მხარი, მე უფრო ყოჩაღად შემიძლია ამერიკის ინტერესების დაცვა, ვიდრე არსებულ ხელისუფლებას!"**. ამასთანავე, როგორც ზოგადად პოლიტიკა, ასევე საარჩევნო პროცესი, პარტიების შექმნა-დანაწევრება, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაც ტოტალური უმუშევრობისა და სიღარიბის პირობებში მცირე ბიზნესის ნაწილად იქცა, სადაც იდეების, კონცეფციების, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული პროგრამებისთვის ადგილი არ არის.

– მიუხედავად ამისა, 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. თქვენ საქართველოში ბევრი მომხრე გყავთ, თქვენს შეხედულებებს იზიარებენ, გენდობიან... ვის მიმართ ხართ კეთილგანწყობილი?

– პირადი პოლიტიკური კეთილგანწყობა, ისევე, როგორც, ალბათ, ქართველი ამომრჩევლების უმრავლესობას, არ გამაჩნია. თუმცა არსებობს მიზანშეწონილობის საკითხი, რომლითაც, როგორც ჩანს, ისარგებლებს კიდეც ჩვენი ამომრჩეველი. საქმე ის არის, რომ, როგორც წინა, ასევე, ამჟამინდელ არჩევნებშიც ძირითად მეტოქეებად **"ნაცმოძრაობა"** და **"ქართული ოცნება"** გვევლინებიან. **"ქართული ოცნება"**, რა თქმა უნდა, პარტია არ არის, არანაირი რეალური პოლიტიკური, ეკონომიკური პროგრამა და შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალი მას არ გააჩნია და **"ინტერესთა კლუბს"** უფრო წარმოადგენს. ინტერესი კი დღეს ერთია – არ დავუშვათ **"ნაცმოძრაობის"** რეინკარნაცია, რასაც მოსახლეობის უმრავლესობა დაუჭერს მხარს. იმ გარემოებამ, რომ **"ქართული ოცნების"** მეტოქე **"ნაცმოძრაობაა"**, მას ერთხელ უკვე მოუტანა გამარჯვება და, მიუხედავად მოსახლეობის სრული იმედგაცრუებისა, ამჟამინდელ არჩევნებშიც უზრუნველყოფს **"ოცნების"** დამაჯერებელ გამარჯვებას. საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს, ასეთი კი უმრავლესობაა საქართველოში, ესმის, რომ ნაციონალები – ეს არის უბედურება, სირცხვილი და ქვეყნისთვის პატივის აყრა. ამერიკელებიც კი, რომლებმაც შექმნეს და ხელისუფლებაშიც მოიყვანეს ნაციონალები, დაჟინებით აღარ ითხოვენ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად მის შენარჩუნებას და ამჟამინდელი არჩევნები ამის ნათელი დასტური იქნება: ამერიკელები აღარ მოითხოვენ არჩევნების გაყალბებას ნაციონალების სასარგებლოდ. სხვა საქმეა, რომ პოლიტიკურ არარაობაში **"ნაცმოძრაობის"** გადაბარგებასთან ერთად **"ქართული ოცნების"** საზოგადოებრივი მხარდაჭერაც ნულისკენ დაექანება და შემდეგი არჩევნებისთვის როგორც ეს პარტია, ასევე მთავრობის **"არნახული წარმატებებით"** მუდამ აღფრთოვანებული მისი არაფორმალური ლიდერი მოსახლეობაში მხოლოდ ირონიას გამოიწვევენ.

– საზოგადოებაში არის შიში, რომ "ნაცმოძრაობა" არ შეურიგდება დამარცხებას და ვითარების დესტაბილიზაციას შეეცდება.

– არ არის გამორიცხული, ეს მათი სტილია. **"ნაცმოძრაობა"** ხომ ასევე არ არის პარტია იდეებით, კონცეფციებითა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიით, სამაგიეროდ, ეს არის პოლიტტექნოლოგიების, მათ შორის ძირგამომთხრელი პოლიტტექნოლოგიების, პარტია. თუმცა ძალის გამოყენებით მასშტაბურ დესტაბილიზაციაზე **"ნაცმოძრაობა"** მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, თუ ამერიკელებს გადაწყვეტილი აქვთ, რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ხელახლა შექმნან ცხელი წერტილი. ამერიკის თანხმობისა და უშუალო დახმარების გარეშე ნაციონალები მასშტაბურ დესტაბილიზაციას ვერ გაბედავენ. რა თქმა უნდა, იქნება ექსცესები – ჩხუბი, მიტინგები, არჩევნების გაყალბების ბრალდებები, მაგრამ ამაზე შორს საქმე არ წავა.

– ხომ შეიძლება, ივანიშვილის მხრიდან დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯების თავიდან ასაცილებლად, მისთვის, ასე ვთქვათ, "ადგილის მისაჩენად" ამერიკელებმა ნაციონალების დესტრუქციას დაუჭირონ მხარი?

– ამის არანაირი აუცილებლობა არ არის. ივანიშვილის კაპიტალი დასავლეთში, ამერიკულ ბანკებშია. ეს კი საუკეთესო გარანტიაა იმისა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ გადადგამს დამოუკიდებელ ნაბიჯს. შეუძლებელია, ღარიბი ქვეყნის მდიდარი მმართველი პოლიტიკურად დამოუკიდებელი იყოს.

– რამდენიმე პარტია ცდილობს, "მესამე ძალად" წარმოაჩინოს თავი. მაგალითად, პაატა ბურჭულაძე მიილტვოდა ამ სტატუსისკენ.

– დიახ, არის ათი თუ ოცი პარტია, მათ შორის, ბურჭულაძის, ალასანიას, ნათელაშვილის, რესპუბლიკელების, რომლებიც გაიძახიან, რომ **"სულით ხორცამდე პროდასავლურები"**, **"ჭეშმარიტად პროამერიკულები"** არიან. ასეთ პოლიტიკოსებზე უკვე ვისაუბრეთ, მათ არ აქვთ პერსპექტივა. **"მესამე ძალა"** რომ გახდე, პირველი ორის ალტერნატივა უნდა იყო. ეს პარტიები კი ერთ პოლიტიკურ ველზე ძოვენ, ველზე, რომელიც უკვე განაწილებულია და იქ მათთვის ადგილი არ არის.

– ალტერნატიულ თვალსაზრისს გამოთქვამენ თოფაძე, მეჭიაური, ბურჯანაძე...

– თუკი გაერთიანდებოდნენ, მათ ჰქონდათ **"მესამე ძალად"** ჩამოყალიბების შანსი. არ ვიცი, რა უშლით ხელს – პირადი ამბიციები თუ **"მეგობრების რჩევა"**, მაგრამ ისინი მხოლოდ აბნევენ და ფანტავენ იმ ელექტორატს, რომელსაც ქვეყნის განვითარების ალტერნატიული მოდელი სურს. როგორც ვატყობ, ქვეყნის განვითარების მკაფიო სტრატეგიაც არ აქვთ. აქვთ დეკლარირებული მიზნები, მაგრამ მათი მიღწევის საშუალებები და მეთოდები გაუგებარია. მიუხედავად ამისა, ბურჯანაძეს მაინც აქვს ბარიერის გადალახვის შესაძლებლობა. საქართველოში დღეს ხელსაყრელი ნიადაგია მისი ამჟამინდელი, ხაზს ვუსვამ, ამჟამინდელი პოლიტიკური მსოფლმხედველობისთვის; ხოლო, თუკი ვერ მიიღებს საჭირო რაოდენობის ხმებს, ესე იგი ხალხმა მას წარსული პოლიტიკური ქცევა არ აპატია, არ დაიჯერა მისი ტრანსფორმაცია და პოლიტიკური შეხედულებების 180 გრადუსით შეცვლა.

– ბოლო პერიოდში გაიზარდა "პატრიოტთა ალიანსის" მხარდამჭერთა რაოდენობა. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ამ პარტიას?

– ეს პარტიაც ცდილობს, დაუმტკიცოს ამერიკელებს, რომ მათიანია და სანდოა. ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალად ამ პარტიის ჩამოყალიბების პერსპექტივა დღეს არ ჩანს, მაგრამ პარლამენტში შესვლა შეუძლია, რადგან, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, **"პატრიოტთა ალიანსს"** უდავოდ აქვს დამსახურება ქართველი საზოგადოების წინაშე. სწორედ მათ, გაასაჯაროეს რა ნაციონალების მხეცობის ვიდეოკადრები, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არჩევნებში **"ნაცმოძრაობის"** დამარცხებაში. ვფიქრობ, ამ სკანდალური კადრების გარეშე **"ოცნება"** ასე დამაჯერებლად ვერ მოიპოვებდა ხმათა უმრავლესობას. საგარეჯოს არჩევნებში მაქინაციების მხილებითაც **"ალიანსმა"** აჩვენა, როგორ **"პატივს სცემს"** რესპუბლიკური პარტია კანონსა და დემოკრატიულ ღირებულებებს. გარდა ამისა, **"ალიანსმა"** სწორი, ეროვნულად ორიენტირებული პოზიცია დაიკავა თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ექსპანსიის მიმართაც. ასეთი ხალხი საჭიროა პარლამენტში, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს წლებში თურქეთთან ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები გველის. აჭარელი ნაცების ლიდერმა აჭარლებს ხომ უკვე უწოდა თურქი ერის ნაწილი, ხოლო თუ **"ერთიანი ერი"** გახლეჩილია, მოვა მისი **"გაერთიანების"** დროც.

– გამოდის, არჩევნების შემდეგ ქვეყნის ცხოვრებაში თვისობრივ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ...

– ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, საგარეო და საშინაო პოლიტიკაში თვისობრივი ცვლილებები არ იქნება. თვისობრივად არც დეპუტატთა კორპუსი გაუმჯობესდება. ხომ იცნობთ პარტიულ სიებს. კი, ყველა სიაში არის საზოგადოების ორი-სამი ავტორიტეტული წარმომადგენელი და პარლამენტში შეიძლება მოხვდეს ათიოდე სერიოზული ადამიანი, მაგრამ ეს ხომ არაფერია გადაწყვეტილების მიღებისას. ათიოდე გონიერი დეპუტატი წინა პარლამენტშიც იყო, მაგრამ რა ხეირი?

ამ არჩევნების დანიშნულება არ არის კვალიფიციური და ეროვნულად ორიენტირებული პარლამენტის არჩევა, ასეთის ასარჩევად არჩევანი არ გვაქვს; ტოტალური გარე კონტროლის პირობებში ეროვნული პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბება შეუძლებელია...

ამ არჩევნების დანიშნულება და მნიშვნელობა არის ის, რომ საბოლოოდ დასამარდეს **"ნაცმოძრაობის"** პრეტენზია ძალაუფლებაზე, რათა ამერიკას ვაჩვენოთ, რომ **"ნაცმოძრაობა"** არ არის სერიოზული პოლიტიკური ძალა საქართველოში. ამიტომაც ყველა, ვისაც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გააჩნია, უნდა მივიდეს არჩევნებზე და გამოხატოს ეს პოზიცია. მთავარია, რომ ამ არჩევნების შედეგებით ამერიკელებმა ჩამოწერონ ნაციონალები, დარწმუნდნენ მათი შემდგომი მხარდაჭერის უპერსპექტივობაში. ისინი, რა თქმა უნდა, მალევე შექმნიან **"ახალ ნაციონალებს"** სხვა სახელით (ათეულობით პარტია დგას რიგში და ელოდება თავის ჟამს), მოამზადებენ მათ შემდეგ არჩევნებში გაკოტრებული **"ქართული ოცნების"** ჩასანაცვლებლად, მაგრამ ამ ყველაფერს 2-3 წელიწადი დასჭირდება. ამასობაში კი, შესაძლოა, პატრიოტულმა ძალებმა შეძლონ კონსოლიდირება, რადგან კატასტროფის პირას, ქართველებში, როგორც წესი, თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს.

ესაუბრა ირაკლი თოდუა

ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲛᲤᲐᲢᲠᲐᲕᲘ – ᲨᲔᲛᲬᲐᲠᲐᲕᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲙᲠᲘᲜᲘᲜᲒ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲐᲘᲡᲐᲮᲐ ᲥᲐᲚ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲖᲔ, ᲡᲐᲜᲓᲠᲐᲡ „ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ“ ᲡᲙᲠᲘᲜᲘᲜᲒ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ.

ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲫᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠ ᲛᲡᲛᲔᲜᲘᲐ.

ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲔᲠᲝᲓ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲓᲘᲐ�გᲜᲝᲖᲘᲗ – ᲙᲘᲑᲝ. ᲙᲘᲑᲝᲡ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲗ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲛᲘᲐᲥᲐᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲝ�პᲔᲠᲐᲪᲘᲝᲓ ᲓᲐ ᲐᲭᲠᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲝᲡᲜᲝᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

როცა აღნიშნულმა პროცესმა მასიური ხასიათი მიიღო, პატიმარმა ქალებმა დიაგნოზების შედარების შემდგომ აღმოაჩინეს, რომ ყველას ერთი უბედურება სჭირდა. რასაკვირველია, გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩატარებული ოპერაციებით სერიოზული თანხა მიედინებოდა ვიღაცის ყულაბაში, თუმცა მაინცდამაინც საშვილოსნოებით და საკვერცხეებით რომელ გველეშაპს კვებავდა სანდრა, დღემდე გაურკვეველია...

პატიმარი ქალები სანამ აღნიშნულ საკითხზე ფიქრობდნენ, გველეშაპმა ყაურმა მოინდომა და ფილტვის ოპერაციების სერიაც დაიწყო... (აღნიშნულ საკითხსაც შეეხები).

ჯანდაცვაში დიდძალი საგრანტო დაფინანსებები შემოდიოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციებიდან, **„გლობალ ფონდიდან“, „იუესაიდიდან“** და ა. შ. ამ დაფინანსებებზე მაშინ ვერავის მიუწვდებოდა ხელი სანდრა რულოვსის ჩაურევლად. რაც უნდა გენიალური აზრი ან ინიციატივა ჰქონოდა ადამიანს ჯანდაცვაში, გამორიცხული იყო გრანტი მიეღო, თუ იგი სანდრას ინტერესებშიც არ შედიოდა. მის გარშემო მყოფი არასამთავრობოები სისტემატურად ღებულობდნენ გრანტებს, არადა ფაქტი ის იყო, რომ ჯანდაცვაში საქმე უკან მიდიოდა და არა წინ.

სხვათა შორის, ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, სანდრას ფავორიტს, სანდრო კვიტაშვილს და რამდენიმე პიროვნებასაც ჰქონდათ არასამთავრობო, რომელიც გრანტით ფინანსდებოდა. ეს არასამთავრობო გრანტებს უწყვეტად ღებულობდა, მაგრამ სინამდვილეში რას აკეთებდა, ან საერთოდ აკეთებდა თუ არა რამეს, ესეც არავინ იცოდა. ერთადერთი მაღალჩინოსანი ვინც ნაციონალების დროს ამ სამინისტროდან ციხეში წავიდა, კოკა ფრუიძე იყო და მისი დაპატიმრების ერთ-ერთ რეალურ ვერსიად, სწორედ სანდრასთან მის უთანხმოებას ასახელებდნენ. სანდრას ინტერესები საავადმყოფოების პრივატიზაციის პროცესებშიც იდო და მათი ინტერესებიც ამ დროს გადაკვეთილა.

მართალია ფრუიძე სრულიად სხვა ფაქტის გამო დააპატიმრეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩაუსაფრდნენ და...

„100 საავადმყოფოს“ პროექტთან დაკავშირებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი, ამბობენ, დღემდე არ დაწყებულა. ამის გარკვევას თუ ოდესმე ვინმე დაიწყებს, იქ აუცილებლად ამოვარდება **„ქველმოქმედი“** ექსლედის ინტერესები, მაგრამ სააკაშვილი ისეთ ჰონორზეა და ეს ხელისუფლებაც იმდენს აბედინებს, არა მგონია ეს რომ მოხდეს.

„ტუბერკულოზის პროგრამაც“ ხომ სანდრას სახელს უკავშირდებოდა. იგი საერთაშორისო ორგანიზაციაში ტუბერკულოზის პროგრამის წარმომადგენელი გახლდათ. საქართველოში ტუბერკულოზის მართვა რომ არ ხდებოდა ეგეც თვალნათელი იყო, რადგან ციხეებშიც და გარეთაც ტუბერკულოზი მძვინვარებდა და მისი პროფილაქტიკა და აღრიცხვა არ ხდებოდა.

ტუბერკულოზის ცენტრის გარემონტება დაავადებასთან ბრძოლის ერთი პატარა სეგმენტი იყო და მთავარი დანარჩენი გახლდათ. ისინი აცხადებდნენ, რომ ტუბერკულოზს ვერ, ან არ მართავდნენ, რადგან იქ ატიპური ფორმები განვითარდა. ეს კი გამოიწვია არასწორმა მკურნალობამ და თანმხლებმა დაავადებებმა, რომელიც პროგრამის არასწორი მართვის შედეგი იყო. საქმე იმაში გახლდათ, რომ ატიპური ფორმების გამოვლენის დროს ტუბერკულოზის მკურნალობა უფასო აღარ იყო და დიახაც რომ აქ იყო **„ძაღლის თავიც დამარხული“,** ანუ ყველაფრისგან ფული კეთდებოდა ხალხის გაუბედურების ხარჯზე და ამას ყველა კადრულობდა, მათ შორის, პირველი ლედიც. თუ ამ საქმეების გამოძიება და სიმართლის გარკვევა შეუძლებელია, ხელისუფლებამ ის მაინც გააკეთოს, რომ ასეთ ადამიანებს კიდევ არ აყრევინოს ხალხისთვის თვალში ნაცარი. ბოლოს და ბოლოს ამ თემებზე ლაპარაკით მაინც.

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობა, 2009 წელთან შედარებით, 50%-ით იყო გაზრდილი. სახალხო დამცველის ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ 2010 წელს 142 შეადგინა, როდესაც ეს მაჩვენებელი 2009 წელს 100-ზე ქვემოთ იყო.

სახალხო დამცველი პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ტუბერკულიოზს ასახელებდა, ასევე გულსისხლძარღვთა და სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს, მათ შორის ძალიან ბევრ გარდაცვლილ პატიმარს ტუბერკულიოზის გარდა C ჰეპატიტი აღენიშნებოდა; ეს გაკვეთის შედეგებმა დაადასტურა.

გიორგი ტუღუშის განცხადებით, ტუბერკულიოზთან დაკავშირებული პრობლემა გაღრმავდა, არათუ მოგვარდა. (სწორედ აღნიშნულ პერიოდში შემოაქვს სანდრას **დოც და დოც+პროგრამა**), ასევე 2010 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა **„სიკვდილის ექსპორტს“** – როდესაც ფაქტიურად გარდაცვლილი პატიმრები სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაჰყავდათ.

ძალიან ბევრი პატიმარი, რომელიც გაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ან პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან, შეიძლება გზაში არ გარდაიცვალა, მაგრამ მაქსიმუმ ორი დღე იცოცხლა სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში. ეს მონაცემები დეტალურადაა მოცემული ანგარიშში. იმავე ანგარიშში არაერთი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლის გვარი და სახელია მითითებული, რომლებიც შემჩნეული იყვნენ პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობაში.

ფილმ **„ჰეროკრატია“**-ს მეორე ნაწილი, ციხის ექიმის და ნაწამები პატიმრის შეხვედრით მთავრდება. ექიმი ნაწამები პაციენტის დაზიანებებს თვალნათლივ ხედავს, მაგრამ ფორმა 100-ში არ უფიქსირებს, სამაგიეროდ ეუბნება, რომ **„ტუბი“** სინამდვილეში არა აქვს, მაგრამ სპეცზონაში უშვებს იმ იმედით, რომ იქ **„აიკიდებს“**.

სანდრას **„ბიზნესს“** ნაცხროვა **„ნედლეულით“** დიდი მონდომებით ამარაგებდა. აღნიშნულ პერიოდში პატიმრების რაოდენობა 25.000-ზე მეტი იყო, აქედან 3.000 ქალი...

საქართველოს და ქართველების **„სიყვარულით“** დამდნარი წყვდიადის დედოფალი სანდრა 2010 წელს, როცა პატიმრების რაოდენობამ და მათმა სიკვდილიანობის ციფრმა პიკს მიაღწია, ვიზიტის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება და გზად პოლონეთში შეივლის (საინტერესოა, ვის და რის ხარჯზე მოგზაურობდა განუწვეტლივ), ჯანდაცვის საკითხებზე საქართველო-ამერიკის ორმხრივ კონფერენციას დაესწრება, რომელიც საქართველოს პირველი ლედის თავმჯდომარეობით გაიმართა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 2011 წელს ქალთა რუსთავის მეხუთე დაწესებულებას ხათუნა კალმახელიძე სტუმრობდა **„ბანდასთან“** ერთად. იმ დღეს მინისტრს დაბადების დღე ჰქონია და **„დაღლილი“** ხათუნა პარიზში **„გაუტაცებია“** პრეზიდენტს. იქ როგორ მიულოცავდა დაბადების დღეს დაქანცულ მინისტრს, ვინ იცის...

მე სარწმუნო წყაროდან გავიგე ეს **„სათუთი“** ამბავი, რომელსაც სანდრაც აუცილებლად გაიგებდა, თუმცა ნაკლებად შეიმჩნევდა. ჯაშუშობა ხომ დიდ მსხვერპლს მოითხოვს... ასე რომ, ჯანდაცვის საკითხებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზეც წლების განმავლობაში ექთანი გვიყვიტავდა, ექთანი, რომელსაც ქმარი ნაცელიტის მახინჯმანებს ლამის თავზე **„იმასუშვებოდა“...**

წლიდან 2012 წლამდე კარგად მომზადდა ნიადაგი სასჯელაღსრულების სისტემაში **„ტუბის“** ახალი პროგრამით პატიმრების დასაჩქარებლად და დიდი თანხების გასათეთრებლად. ჰქონდათ თუ არა პატიმრებს ტუბი, მაინც აღრიცხავდნენ, რათა **„დოცი“** და **„დოც+“** პროგრამა წარმატებით შემოსულიყო ჩვენს ქვეყანაში სანდრას პატრონაჟით და ადამიანების გვამებზე და ძვლებზე სიარულით ათეულობით მილიონით შეევსო **„ოჯახის“** ყულაბა.

ცნობილია, რომ ტუბერკულოზის დაავადების საშიშროება იზრდება მაშინ, როდესაც იმუნიტეტი დასუსტებულია არასრულფასოვანი კვებით, სტრესებით, ქრონიკული დაავადებებით. ამიტომ ტუბერკულოზისგან დამცველი ძალების გასაძლიერებლად საჭიროა პირადი ჰიგიენის დაცვა, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები, რეგულარული ფიზიკური დატვირთვა და ასე შემდეგ. ასე, რომ ციხე და კოლონია ტუბერკულიოზის გასავრცელებლად და **„სახეიროდ“** შესაფერისი ადგილი გახლდათ. 2012 წლის მაისში, მედიის საშუალებით **„პიკასო ფერებში“,** გავრცელდა ინფორმაცია, თუ როგორ გახსნეს საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა ელისაბედ რულოვსმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ახალი კორპუსი, სადაც თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი კლინიკა ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მქონე პაციენტებს მოემსახურებოდა. სიამაყით განაცხადეს, რომ ცენტრი ყველა იმ სტანდარტს აკმაყოფილებდა, რაც აუცილებელი იყო გადამდები დაავადებების გავრცელების შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. 97-საწოლიანი საავადმყოფო დაკომპლექტებული იყო მაღალკვალიფიციური პერსონალით, რომელთაც ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მკურნალობაში სპეციალური გადამზადება გაიარეს.

ასევე სიამაყით განაცხადეს, რომ საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა ფუნქციონირებდა, რომლის ფარგლებშიც, დაავადების დიაგნოსტიკა და შემდგომი მკურნალობა ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში პაციენტები უფასოდ ისარგებლებდნენ მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით.

და ყველაზე საინტერესო – ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია **„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია-აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის“** ფარგლებში, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მხარდაჭერით დაფინანსდა.

ტუბერკულოზით დაავადებების სტატისტიკამ ციხეებში სანდრას გააქტიურების შემდეგ მოიმატა.

2010 წელი – 495 შემთხვევა.

2011 წელი – 500 შემთხვევა.

2012 წელს 557 შემთხვევა და აღნიშნულ ორ წელიწადში დაწესებულებაში გარდაცვლილი 284 პატიმარი. არავინ იცის, რამდენს უშვებდნენ დაწესებულებიდან სიკვდილის წინა დღეს ან რამდენიმე საათით ადრე, რომ მიცვალებულთა ნაკლები რაოდენობა **„დაწეროდათ“.**

„მაღალკვალიფიციურ პერსონალს“ რომ გესტაპოს სკოლა გაატარეს, ფაქტია. მეც კარგად მახსოვს და მამაკაც პატიმრებსაც ემახსოვრებათ **„მაღალკვალიფიციური პერსონალი“** თინა მახარაძე – კოორდინატორი **„ტუბიდან“** რომელიც №6 დაწესებულებაში, დამწყდეულ საკანში პატიმრებს **„დოც+“** ფარგლებში ქიმიოთერაპიით **„მკურნალობდა“.**

წარმოუდგენელია ქიმიოთერაპიით მიყენებული ტკივილების აღწერა – უჰაერობაში, შესაბამისი კვების და ყურადღების გარეშე, გაუსაძლისი ტკივილით... სანდრას ექსპერიმენტს ციხე კოლონიაში თინა მახარაძე კურირებდა.

„ᲛᲔ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲫᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲔᲭᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲕᲠᲩᲘ.“

მაშინდელი სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ასათიანი დაწესებულების დირექტორის კაბინეტში მარწმუნებდა რომ იქსდეარით ვიყავი ინფიცირებული, არსებობდა ეპიდემიის საფრთხე და საჭირო იყო ჩემი იზოლაცია და სტაციონარში კვლევის გაგრძელება. მაშინ გამიჭირდა დამეჯერებინა, რომ ადამიანები, რომლებიც მიშას და სანდრას გვერდით იდგნენ, მხოლოდ ცოფიანი მხეცის ინსტინქტით მოქმედებდნენ.

„გამივრცელეს დეზინფორმაცია, რომ ჩემი დაავადება დაფრინავდა, რომ მქონდა ფილტვზე კიბო და რამდენიმე დღის სიცოცხლე მქონდა დარჩენილი. ძნელია, ადამიანმა წარმოიდგინოს, ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ რა ემართება პატიმარს. ჯერ ერთი, აღარც თავისუფლება უნდა, რადგან ოჯახის წევრები არ დააინფიცირო, ყოველდღიური ქიმიოთერაპიით დაუძლურებულ სხეულს, სულიც გათიშული აქვს და მისთვის ყველაფერი სულერთია, იმ გაუსაძლისი ტკივილის გაყუჩების გარდა, რომელსაც წყვდიადის დედოფალი დატრეინინგებული ვამპირების დახმარებით ექსპერიმენტების, გამდიდრების და მხეცური ჟინის დასაკმაყოფილებლად გაყენებს...

მოკლედ, მყისიერად აღმოვჩნდი სანდრას გახსნილ ნაქებ საავადმყოფოში, სადაც პატიმრებისთვის სამი საკანი ყოფილ მორგის შენობაში იყო განთავსებული. იქ, კიდევ ერთმა დატრეინინგებულმა ექიმმა, (გვარად – ერისთავმა) მომახსენა, რომ დაავადება, რომელიც მე მჭირდა, არ იკურნებოდა, შეიძლება ექვსი თვე მეცოცხლა, ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლებიც.

თუმცა სამი წელი უპირობოდ უნდა მიმეღო ქიმიური პრეპარატები. მითხრა რომ ფილტვები უკვე დაშლის ფაზაში მქონდა...

უფლებადამცველმა სალომე აბულაძემ საავადმყოფოში გადაყვანიდან მეორე დღესვე მომაკითხა და კატეგორიულად მოითხოვა თოდუას კლინიკაში ჩემი გაყვანა და მაგნიტორეზონანსული კვლევის ჩატარება. დიდი ბრძოლის შემდეგ გამიყვანეს და დასკვნაში „ინატრე ფილტვი“ ჩამიწერეს. სტატია – „ოპერაცია ფილტვის შესახებ" დაწერა „ასავალ-დასავალში“ ზაზა დავითაიამ. ასევე ჩაერთვნენ ჩემი მეგობრები და ფილტვის ოპერაციის იძულებით გაკეთება ვეღარ გაბედეს (ვისაც გაუკეთეს, დღეს ცოცხალი აღარ არის). თუმცა რუსთავში დამახვედრეს სპეციალურად ჩემთვის აშენებული ციხე – ციხეში. რომლის „დიზაინიც“ მისვლისთანავე დავწვი და დავლეწე.

ამიტომ ზამთრის გატარებამ ნახევრად დახურულ კარში მომიწია. ერთი თვის შემდეგ უარი განვაცხადე ქიმიური პრეპარატების მიღებაზე, რადგან თერმომეტრზე ტემპერატურა 34 ქვემოთ მიფიქსირდებოდა და აგვისტოში – ვიყინებოდი. წნევა 45/30-ზეც მქონია და ვერაფრით მირეგულირებდნენ. ერთ-ერთმა ექიმმა მირჩია, აღარ მიმეღო ქიმიური პრეპარატები, რადგან არაფერი მჭირდა და უნდა მცოდნოდა მიზეზი, თუ რატომაც მომიგონეს, აღნიშნული დაავადება...

თინა მახარაძემ გააპროტესტა ჩემს მიერ პროგრამის მიტოვება. „დოც+“ 55.000 ევროთი ფინანსდება (ანუ მაგ თანხას თითო ადამიანზე თვლიდა) და დამემუქრა, ორ თვეში, მკურნალობის იძულების წესით კანონს მიიღებენო და მაშინ კი ვასროლინე კუდით ქვა... ფსიქიატრს მიგზავნიდა ყოველ კვირას, არადა, მათ მიერ დოზის გადამეტებით დანიშნული პრეპარატის ანოტაციაში ფატალურ სავარაუდო შედეგთან ერთად ხანგრძლივი დროით ცენტრალური ნერვიული სისტემის დეზორგანიზებაც იყო ნახსენები (ციკლოსერინა). იყო შემთხვევა, როცა თერთმეტ პატიმარ ქალს „კოლექტიურად აღმოუჩინეს“ ტუბი. (ჩემს შემდეგ) თერთმეტივემ გადაამოწმა დიაგნოზი ადვოკატის დახმარებით და არცერთს ტუბი არ აღმოაჩნდა.

ასე, რომ ჩემს ბრძოლას მიშას და სანდრას სანატორიუმში უშედეგოდ არ ჩაუვლია. იძულებით მკურნალობის დაკანონებას ვერ მოესწრნენ, რადგან ორ თვეში ნაცმოძრაობაც დამარცხდა. „ტუბის აღმოჩენა“ სარფიანი საქმე გახლდათ ნაცბანდისთვის, იზოლაციაში აქცევდნენ დაუმორჩილებელ პატიმრებს, ათეთრებდნენ დიდ თანხას, სიცოცხლეს ართმევდნენ ახალგაზრდებს ვითომ მოურჩენელი დაავადების წყალობით, ორგანოებს აცლიდნენ და სად მიჰქონდათ, დღემდე გამოუძიებელია...

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

ილორი
ეროვნული
ინფორმაცია

ამგვარი მავნებლური იდეის განხორციელება დამღუპველი იქნება რეგიონისათვის!

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, პრემიერ გიორგი კვირიკაშვილისადმი მიმართვის ეს ტექსტი ინტერნეტსივრცეში იყო გასაჯაროებული... უშუალოდ ტექსტის დედანზე ხელი მოწერილი აქვს 32 პიროვნებას... ინტერნეტსივრცეში მას მხარი დაუჭირა უამრავმა ადამიანმა, რაც ასევე იქნა ამობეჭდილი და უშუალოდ ხელმოწერილ დედანთან ერთად მიმდინარე წლის 19 სექტემბერს ჩაბარდა ადრესატს... ამასთან ერთად, პრემიერს ასევე გადაეცა სენაკის მოსახლეობის ასეულობით წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი ცალკე მიმართვის ტექსტიც...

თუ ვინმეს აქვს სურვილი ანალოგიურად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება აქტუალიზებული საკითხისადმი – შეუძლია მიმართვის ამ ტექსტის გამოყენება...

ზურაბ კვარაცხელია

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო გიორგი,

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 13 ოქტომბრის განკარგულებით **„ქართული სამშენებლო მასალების კომპანიას“** საინვესტიციო ვალდებულებებით 1 (ერთი) ლარად გადასცა ათეულობით ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირში, ცემენტის საწარმოს ასაშენებლად და ასამოქმედებლად. ამავე კომპანიას საქართველოს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მისცა სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთში წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის-კირქვის მოპოვების ლიცენზია.

ამის სანაცვლოდ, ქართული კომპანია რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას და ცემენტის წარმოების ვალდებულებას იღებს.

პროექტის ინვესტორები არიან **„აზია-აფრიკის მენეჯმენტისა“** და **„ჰუალინგ ჯგუფის“** ჩინური კომპანიები.

მთავრობის ინიციატივა, რომ შეიქმნას ახალი საწარმოები, ადგილობრივი ნედლეული გადამუშავდეს და მიღებულ იქნას პროდუქცია, მისასალმებელია და ამ პროცესს მხარს ვუჭერთ.

ჩვენს შეშფოთებას იწვევს ამ პროექტის ეკოლოგიური და კულტურულ-ისტორიული მხარეები:

1. ადგილი, სადაც უნდა მოხდეს კირქვის მოპოვება, მდებარეობს დასახლებასთან ახლოს;

2. აქვე, ირგვლივ, განლაგებულია საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ათეულობით ძეგლი, მათ შორის, უნიკალური – ეგრისის სამეფოს დედაქალაქის, ციხე-გოჯ-არქეოპოლისის გრანდიოზული კომპლექსი, შხეფისა და კოტიანეთის ციხეები, ახლახან აღდგენილი 10-11 საუკუნეების ეკის იოანე ნათლისმცემლისა და ეკის იმანიერის მაცხოვრის მონასტრები;

3. ამ ტერიტორიაზე ჩატარებული საერთაშორისი სპელეოლოგიური ექსპედიციების შედეგად აღმოჩნდა კარსტული, ხშირად რამდენიმესართულიანი მღვიმეები მიწისქვეშა სიღრუეებით, ჭებით, დინებებით, ტბებით...

4. მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ადგილი, საიდანაც კირქვის მოპოვებას აპირებენ, მიწისქვეშა, მათ შორის თერმული წყლებითაა მდიდარი.

მიწისქვეშა წყლებით საზრდოობს აქ არსებული წყაროები, რომლებიც სასმელად გამოიყენება.

კირქვის მოპოვებას კოტიანეთში აფეთქებით აპირებენ, რაც, ჩვენი აზრით, დაუშვებელია შემდეგი ფაქტორების გამო:

1. ამას მოჰყვება ტექტონიკური ნაპრალების გააქტიურება და მთის მოშლა, დანგრევა;

2. დაბინძურდება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ნაკადები, სასმელად გამოყენებული წყაროები;

3. განადგურდება მცენარეული საფარი, ტყეები; შეუძლებელი გახდება აქ არსებული ისტორიული ძეგლების, ბუნების ღირსშესანიშნაობათა დაცვა და გამოყენება, ტურიზმის განვითარება;

4. როგორც ცემენტის წარმოების ჩვენთან არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს (საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევებით, კასპის ცემენტის ქარხანა, საქართველოში გარემოს ყველაზე დამაბინძურებელი საწარმოა), ეს პროცესი იწვევს ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების ადგილების მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიურ დაბინძურებას თანამდევი, მძიმე შედეგებით: გაუარესდება ადგილობრივი მოსახლეობის ისედაც მძიმე მდგომარეობა (საძოვრების დაკარგვა, სასმელი წყლის დაბინძურება...), ხელი შეეშლება ტურიზმის განვითარებას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

შეუძლებელი გახდება აქ არსებული თერმული წყლების სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება.

ეკოლოგიური, კულტურულ-ისტორიული პრობლემების გამო, ჯერ კიდევ კომუნისტურმა ხელისუფლებამ არ დაუშვა ამ ტერიტორიაზე კირქვის მოპოვება. ამ საკითხზე მაშინ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს (ამჟამად-ტექნიკური უნივერსიტეტი) უარყოფითი დასკვნა გამოუგზავნა ტაშკენტის ლაბორატორიამ.

ზემოთაღნიშნულ საკითხებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არაერთი მასალა გამოქვეყნდა, მაგრამ მათზე, დასაბუთებული პასუხი არ ჩანს.

საქართველოს კანონმდებლობით, ცემენტის წარმოებისთვის აუცილებელია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სოფელ კოტიანეთში კირქვის მოპოვებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ გაუცია.

ზემოთდასახელებული მიზეზების გამო, მოვითხოვთ ამ საკითხის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნას, რომელშიც შევლენ მეცნიერები, ბუნების დამცველები, საზოგადოების, მათ შორის სენაკის წარმომადგენლები.

უნდა ჩატარდეს კვალიფიციური, მათ შორის უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით, ეკოლოგიური ექსპერტიზა.

წარმოების დაწყების ნებართვის დაწყებამდე, აუცილებლად მიგვაჩნია, ყველა იმ საფრთხის საჯარო განხილვა, რომელმაც შესაძლოა დააზარალოს ბუნება, ისტორიული ძეგლები, მოსახლეობის ინტერესები და ა.შ.

ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, გადაწყვეტილება, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული.

პატივისცემით,

გიორგი სახოკია
ალინა ბაღიშვილი
ჯამბულ ბჟალავა
ნიკოლოზ ბოკუჩავა
დავით შონია
მაია სახოკია
რამინ ჯომიდავა
თამთა ჭანტურია
მერაბ რაფავა
მერაბ გაბუჩია
თეა ლაკირბაია
იულონ გაგოშიძე
გიორგი რობაძიძე
ზაურ ქობალია
ზვიად ბარბაქაძე
ოთარ ჯიქია
კობა ჩარგაზია
ანზორ სიჯინავა
პაატა ჩიქოვანი
გიორგი სიჯინავა
დაზმირ ჯოჯუა
თელი მიქაძე
ირინა ბაღიშვილი
ბეშან ჯავახია
გურამ ყორანაშვილი
გიორგი ანთელავა
მიხეილ ბაღიშვილი
ეპიფანე გვენეტაძე
ლალი მიქაია
ზაურ ჯალაღონია
გოგიტა ჩიტაია
ზურაბ კვარაცხელია

რა თანხები შედიოდა ფონდ „იავნანაში“ და რამდენად მიზნობრივად იხარჯებოდა ის?

პაატა ბურჭულაძე გულწრფელი, როგორც ჩანს, მხოლოდ სცენაზე იყო. ახლა დემოკრატიის სახელით პოლიტიკაშია, მანამდე კი უმწეოთა დახმარების სახელით მასშტაბურ ქველმოქმედებას ეწეოდა.

ქველმოქმედება პოლიტიკა არ არის და ის ყველა მოქალაქეს აერთიანებს ერთი ნათელი საქმისთვის, სტიმულს აძლევს ადამიანებს, სოლიდარობა გამოუცხადონ მათ, ვინც ჩვენს დახმარებასა და თანადგომას საჭიროებს.

წლიდან წლამდე პაატა ბურჭულაძის „იავნანა“ ფართომასშტაბიან აქციებს ატარებდა და წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი ერთვებოდა აქციაში.

მეტი და მეტი რამდენია? რა თანხები შედიოდა საქველმოქმედო ფონდ **„იავნანაში“** და რამდენად მიზნობრივად იხარჯებოდა ის? პასუხი ამ კითხვაზე არ გვაქვს.

არ გვაქვს იმიტომ, რომ **„იავნანაში“**, როგორც მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა აგვიხსნა, ახლა ყველა შვებულებაშია და 20 აგვისტომდე არც არავინ იქნება. დეტალური ინფორმაცია კი საიტზე არ უდევთ. თეა ჯორბენაძის განმარტებით, დეტალური ინფორმაცია დაბეჭდილია ჟურნალებში **„ბუღალტრული აღრიცხვა“, „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“**, თანაც გაუკვირდა, რომ ჩვენ არ გვაქვს ამ სპეციფიკურ ჟურნალთან წვდომა და გაბრაზებული ხმით დააყოლა: თუ თქვენ ვერ შოულობთ, მე მოგაწვდითო. იმედია, მოგვაწვდის.

სხვათაშორის, კანონი მათ ავალდებულებს ფინანსურ გამჭვირვალობას, ის ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამ საკითხს ისევ მივუბრუნდებით.

მანამდე კი, ის, რაც **„პრაიმტაიმმა“** საკუთარი წყაროებით მოიძია.

როცა ქველმოქმედებაში ერთვები, ფიქრობ, რომ ეხმარები იმას, ვისაც შენი თანაგრძნობა ძალიან სჭირდება, იმდენად უჭირდა, არ შეეძლო შვილების გამოკვება, მათი მკურნალობა ან მათთვის წიგნების ყიდვა. პრობლემა მრავალგვარია. თუმცა, ალბათ, ძნელია, წარმოიდგინო, რომ შენი გაღებული თანხები შეიძლება ისევ პაატა ბურჭულაძეს ხმარდებოდეს.

პარადოქსულად ჟღერს თუ სკანდალურად? შეიძლება ორივე ერთად. თუმცა, ციფრები მართლაც დაუჯერებლად გამოიყურება.

„პრაიმტაიმის“ მიერ მოპოვებული დაუზუსტებელი ინფორმაციის თანახმად, ბოლო წლების განმავლობაში ფონდმა **„იავნანამ“**, ქველმოქმედების სახით, 9 მილიონამდე ლარი მიიღო და მხოლოდ 3 მილიონამდე დაიხარჯა ქველმოქმედებაში.

და მაშინ, სად წავიდა დანარჩენი 6 მილიონამდე ლარი? ინფორმაციისთვის: ფონდის ყველა თანამშრომელი ამჯერად შვებულებაშია, ანგარიშების მოძრაობის თაობაზე ინფორმაცია ფონდის ვებგვერდზე არ მოიპოვება, თუმცა, ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მოქალაქისთვის. ცხადია, როგორც თეა ჯორბენაძემ აგვიხსნა, სპეციფიკურ ჟურნალებში მონაცემები არის და ის ფინანსთა სამინისტროში დევს, მაგრამ აქ საუბარია მოქალაქეებისთვის ინფორმაციის წვდომაზე. ასე რომ, მონაცემები **„იავნანას“** ვებგვერდზე უნდა იყოს განთავსებული.

რატომ არ არის? გასაიდუმლოებულია? სად დაიკარგა დანარჩენი 6 მილიონი?

საკმარისია, ეს ლეგიტიმური შეკითხვები გაგიჩნდეთ, რომ მაშინვე მოინათლებით შავი პიარის ნაწილად და ასე შემდეგ. როგორც ჩანს, უფრო ადვილია, თავს დაგესხან სხვადასხვა ბრალდებებით, ვიდრე კითხვებზე პასუხი მოგცენ. შესაძლოა, მათი ლოგიკა აქაც არის.

ჩვენ უკვე მივმართეთ შესაბამის უწყებებს. ოფიციალური დოკუმენტების მიღებამდე, მხოლოდ გეტყვით, რომ **„იავნანას“** რამდენიმესართულიანი ოფისი აქვს კოსტავას ქუჩაზე, ჰყავს დიდი რაოდენობის სტაფი და ემსახურება ძვირადღირებული მანქანები.

ერთ-ერთი ინფორმაციით კი, **„ტოიოტა ცენტრ თბილისიდან“** გამოყვანილია ორი ავტომობილი **TOYOTA LAND CRUISER 200, სახ. № IAV-001** და სედანის ტიპის ა/მ **TOYOTA CAMRY სახ. № IAV-002.** ეს ძვირად ღირებული მანქანები პირადად პაატა ბურჭულაძეს ემსახურებიან.

ემსახურებიან დღესაც, როცა ის უკვე პოლიტიკაშია და ფონდთან საერთო აღარაფერი უნდა ჰქონდეს. **TOYOTA CAMRY,** რომლითაც დღეს უკვე პოლიტიკოსი ბურჭულაძე გადაადგილდება, ჩვენი ინფორმაციით, სწორედ ფონდის სახსრებით არის ნაყიდი. ანუ ეს ქველმოქმედების სახელით აკრეფილი ფულია, რომელიც ჩვენ გვგონია, რომ იმ ადამიანებს მოხმარდათ, ვინც ჩვენს დახმარებასა და თანადგომას ყველაზე მეტად იმსახურებს. არის კი პაატა ბურჭულაძე ასეთ ადამიანთა რიგში? საჭიროებს ის ჩვენს ფინანსურ მხარდაჭერას? ვიცოდით ჩვენ, რომ ფული, რომელიც ქველმოქმედებისთვის გადავრიცხეთ, ბურჭულაძის ფუფუნების საგნებს მოხმარდებოდა? გვაქვს უფლება, ვიცოდეთ, რაში იხარჯება ჩვენ მიერ გაღებული თანხები?

კითხვა ბევრია, პასუხები კი – არა. **„იავნანას“** სტაფი 20 აგვისტომდე შვებულებაშია. ვნახოთ, რას ამბობს კანონი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნაა, ყოველი წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური დოკუმენტები იყოს საჯარო, ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. მათ შორის, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები.

საქველმოქმედო ფონდს, ფინანსური ოპერაციების გასაჯაროების ვალდებულების გარდა, კანონი ასევე ავალდებულებს საგადასახადო ორგანოს, ყოველი წლის 1-ელ აპრილამდე წარუდგინოს: ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ, წყაროებისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის მითითებით.

მარტივად რომ ვთქვათ, კანონის თანახმად, მხოლოდ შესაბამის უწყებებს კი არ უნდა ჰქონდეთ ფონდის ფინანსებზე წვდომა ყოველწლიურად, არამედ ყველა მოქალაქეს. შესაბამისად, ეს ინფორმაცია სპეციფიკური ჟურნალის გარდა, **„იავნანას“** ვებგვერდზეც უნდა არსებობდეს.

ფონდი 2004 წელს დაარსდა. პაატა ბურჭულაძემ ის საკმაოდ ჭკვიანურად ააწყო: მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქველმოქმედო კონცერტების, გლამურული მიღებების, მდიდრული საღამოების მოწყობა. პერმანენტულად ფონდი მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის შოუებსა და სარეკლამო კამპანიებში. ამ აქტივობების დეკლარირებული მიზანი მოქალაქეებისგან თანხების მოზიდვაა. ეს თანხები, წესით, სოციალურად დაუცველ ადამიანებს უნდა მოხმარდეთ.

ახლა პაატა პოლიტიკაშია. ბუნებრივია, მის მიმართ ინტერესი გაიზარდა.

„პრაიმტაიმმა“ უკვე წერილობით მიმართა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და ველოდებთ ინფორმაციას **„პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდ იავნანას“** ფინანსურ მდგომარეობაზე. აქვე ვიტყვი, რომ დოკუმენტებში ასახული უნდა იყოს ფონდის დაფუძნების დღიდან დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ, მათ შორის ყოველი წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური დოკუმენტები და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული და წარდგენილი ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტი.

შემოსავლების სამსახურს, თავის მხრივ, კანონი ავალდებულებს, მოგვაწოდოს ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია.

თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ ვინ არის ღირსეული და ვინ არა – ილიას წინასაარჩევნო მიმართვა 1897 წელს

ჟურნალი „Civicus“ ილია ჭავჭავაძის 1897 წლის წინასაარჩევნო მიმართვას აქვეყნებს. **„იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ – ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა“,** – ამბობს ილია ჭავჭავაძე მიმართვაში.

„ხვალ, 18 მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღე იმისი თუ, – ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანური გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

კანონმა ნება მოგვცა, ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილუბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელ ქალაქსა.

ყველამ ერთად რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა, უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო.

იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ – ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენი ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენს მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლებს, ღარიბს არ ახდევინოს.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტყლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საჭმელ-სასმელი, ქალაქის ბაზარში კარგი და საღი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არ ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილუბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილშვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც, რაც შეიძლება იაფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილშვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველწვლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იფანტებოდეს გულდაუდებლობით და უთადარიგობითა.

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელ ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინდისი არ გეუბნებათ“, – წერია ილია ჭავჭავაძის მიმართვაში.

P.S. ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ! ᲜᲣᲠᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲓᲐᲘᲕᲘᲧᲭᲔᲑ – ᲔᲡ ᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲠᲐᲝᲑᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ "ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲘ" ᲫᲛᲔᲑᲘ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲧᲐᲠᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲐᲖᲠᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲡᲜᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲖᲝᲒᲚᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ!

სამეგრელოს მაღალმთიანეთში ცხოველთა ვაქცინაცია დროულად ჩატარდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ოთარ დანელია, ქვეყნის მთავარ ვეტერინარ მიხეილ სოხაძესთან ერთად სამეგრელოში, ასხის სუბალპური მთის საზაფხულო საძოვრებზე, რომელიც ზღვის დონიდან 2500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, მიმდინარე ვეტერინარული ღონისძიებების პროცესს გაეცნო.

ოთარ დანელიას განცხადებით, ფერმერებისთვის მაქსიმალური ხელშეწყობითა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებით, შინაურ ცხოველთა დაავადების დროულად თავიდან აცილება მეტად მნიშვნელოვანია.

„საქართველოში მეცხოველეობის დარგი ერთ-ერთი პრიორიტეტულია და შესაბამისად, მისი განვითარებისთვის არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ვახორციელებდით და კვლავაც განვახორციელებთ. აღნიშნული ღონისძიებები მიკვლევადობას, ცხოველთა ჯანმრთელობასა და ეპიზოოტიურ კეთილსაიმედოობას უზრუნველყოფს. წელს სამეგრელოს მაღალმთიანეთში, ასხის საზაფხულო საძოვრებზე ვეტერინარული სამსახურის წარმომადგენლების მიერ ვაქცინაციის მიმდინარეობის პროცესს დავესწარით. მეტად მნიშვნელოვანია, ადგილობრივ ფერმერებს მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი და არც თუ იაფი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებით ის გართულებები ავიცილოთ თავიდან, რაც ცხოველთა დაავადების შემთხვევაში იქმნება და დიდად აზარალებს ჩვენს ფერმერებს“, – განაცხადა ჟურნალისტთან საუბრისას ოთარ დანელიამ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახურის განმარტებით, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, მთლიანად სამეგრელოს რეგიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება. ყოველწლიურად ტარდება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის პროფილაქტიკური და იძულებითი ვაქცინაცია ისეთ საშიშ დაავადებებზე, როგორებიცაა თურქული, ჯილეხი, ცოფი. მიმდინარეობს ცხოველთა იდენტიფიკაცია – რეგისტრაცია და ბრუცელოზზე კვლევისთვის სისხლის ნიმუშების აღება (სერომონიტორინგი).

ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სავალდებულო და პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად, შარშან და მიმდინარე წელს სამეგრელოს რეგიონში ადამიანის ცოფითა და ჯილეხით დაავადების არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.

2012 წლიდან დღემდე სამეგრელოს რეგიონში იდენტიფიცირებულია 332 ათასი სული მსხვილფეხა და 12 ათასამდე წვრილფეხა პირუტყვი. ბრუცელოზზე კვლევა (სერომონიტორინგი) – ჩაუტარდა 3.878 სულ პირუტყვს. როგორც ხედავთ, მომსახურეობის მასშტაბები თანდათან იზრდება!

2016 წელს სამეგრელოს რეგიონში დაავადება თურქულზე ვაქცინირებულია 121.987 სული მსხვილფეხა და 10.649 წვრილფეხა პირუტყვი, ჯილეხზე – 29.581 პირუტყვი.

სანდრა მფატრავი – *შემზარავი ფაქტები სანდრა რულოვსის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ*

(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)

სამწუხაროდ, სააკაშვილის ხროვის მიერ ნაწამებ გაუბედურებულ პატიმრებს, სანდრას სასიკვდილო ექსპერიმენტიც ემატებოდა, რის შედეგადაც უამრავმა პატიმარმა დაასრულა სიცოცხლე სიკვდილის ანგელოზების (ბადრაგების) მეთვალყურეობის ქვეშ.“

რამდენიმე დღის წინ სოციალური ქსელის საშუალებით ნინო ჯღარკავამ მიშა **„მოიკითხა“** და შემაძრწუნებელი პოსტი გაავრცელა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ:

„ესეც კინოა, შე ჩასაძაღლებელო სააკაშვილო? თამაზ დადვანი ყაჩაღობაზე გაასამართლეს, უდანაშაულო იყო, ექსპერტიზები გააყალბეს, ბოლომდე სჯეროდა რომ სიმართლეს გაიტანდა, სულ მეუბნებოდა ციხე ვერ გამტეხავსო, თავს ნუ შეაწირავ მეთქი, სულ ვარიგებდი, ვხედავდი შეუპოვარი და პრინციპული იყო... არ ეპუებოდა არ უთმობდა...

უზენაესის განაჩენის შემდეგ მშობლებმა დამირეკეს, ძალიან ცუდად არის, შედი, ნახეო. რომ შევედი, სავადმყოფოში იყო, დაბერებული, 23 წლის, 50 წლისას ჰგავდა, ფეხზე იდგა ძლივს, მთხოვა, ჩემი შეყვარებულის სურათები დამრჩა საკანში, ის წაიღონ იქიდან ჩემებმა, დაჟინებით მთხოვდა. რაღაც ტაბლეტებს მასმევდნენო, ბოლოს რომ დავუძლურდი, აქ გადმომიყვანესო, მეორე დღეს შევედი, რეანიმაციაშია, ტუბერკულოზი აქვს, არ შეხვიდეო, ნიღაბი მოვითხოვე, არ მოგვცეს, მე და მეორე ადვოკატი, მაია დონაძე ვიყავით ერთად, ექსპერტიზისთვის მისი ხელმოწერა მჭირდებოდა, უნდა მენახა... არ ეგონათ, მაინც რომ შევიდოდით რეანიმაციაში, გამიკვირდა, ასე უცბად როგორ მოხვდა იქ, კარი შევაღე, არავინ იყო, „რეანიმაცია“ იყო რკინის საწოლზე სასიკვდილოდ გადადებული პატიმრები...

ხმაამოუღებლად, ექიმი ვნახე მისი, თვალები გაუფართოვდა, იქ რა გინდოდათო, ვინ შეგიშვათო. ეს არის-მეთქი თქვენი რეანიმაცია, მიხედეთ, თეთრეული მაინც დაუგეთ, წამალი მაინც დაალევინეთ მეთქი... მეორე დღეს დარეკეს ადვოკატთან, დილის ცხრა საათზე გარდაიცვალაო, ახლობლებს გააგებინეთო, მე ვერ ავდწერ იმ ტკივილს... იმ ზარს, რომლის განხორციელებაც ჩვენ მოგვიწია... მერე... ის მახსოვს გვამს არ ატანდნენ, ხელისმოწერას თხოვდნენ ახლობელს რომ პრეტენზია არ ქონდათ, ისე არ არ ატანდნენ გვამს.. რაღაც საშინელი მარშუტკა იყო.... ეს თაზო არ არისო მესმოდა ყვირილი, შეცვლილი იყო...

ნანა ლეჟავამ გადაცემაც გააკეთა, სადაც მოვყევით რა იყო მათი სანაქებო ციხის რეანიმაცია... რაზეც დაგვიბარა რამოდენიმე ხნის შემდეგ მაშინდელმა სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა და ადვოკატებს შეფარულად დაგვემუქრა....

ალბათ ეს იმის ნახევარია, რაც იქ განვიცადეთ და გადავიტანეთ ყველამ ერთად“.

– ეს ტაბლეტები სწორედ ის ქიმიური პრეპარატებია, რომელსაც დოზის გადაჭარბებით იძულებით ასმევდნენ ჯანმრთელ უტეხ პატიმრებს, აბა, ყველას ცემაში ხომ არ დახოცავდნენ, შემდეგ ორგანოებს ჯერ კიდევ თბილი სხეულიდან უღებდნენ და გამწარებულ პატრონს სასწრაფო წესით ხელს აწერინებდნენ, რომ პრეტენზია არ ჰქონდათ. ხო, რეანიმაციაშიც კი, ქალ პატიმრებსაც ღამით ფეხზე ბორკილით აბავდნენ.

ათი ვირზილა რომ გადგას თავზე, ნაოპერაციევი სად გაიქცევი?

მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ფსიქოლოგიური წნეხისთვის იყენებდნენ ამ ფაშისტურ საშუალებას.

არადა, ძნელი წარმოსადგენია, ტკივილი, ციხე, ოპერაციით გამოწვეული დისკომფორტი და ბორკილი. ნეტა სანდრამ მიშას თვალებში თუ ჩახედა, თუმცა მათი გული და თვალი რამ გაყო, ერთი ვამპირის სისხლი უბუყბუყებს ორივეს.

საყურადღებოა ერთი ფაქტიც, რომელიც ჯერ ტუბის ექთანს „გამოვტყუე“ და შემდეგ პირადად გადავამოწმე.

მოკლედ, სანდრას გახსნილ ოთხმოცდაჩვიდმეტადგილიან საავადმყოფოში ვიღაც ხომ უნდა დაწოლილიყო?

მცირე რაოდენობის ადამიანების „დაგოიმებაც“ მოახერხეს, თუმცა უმრავლესობა უბინაო, სოციალურად დაუცველი ადამიანები იწვნენ. ღამით ისინი რვა საათზე უნდა დაბრუნებულიყვნენ, შემდეგ ალაყაფის კარები იკეტებოდა.

აჭმევდნენ დღეში სამჯერ, მედიკამენტს არ იღებდნენ, თუმცა მიღებას იქაური წესით ექთანი ესწრებოდა.

დღისით გადიოდნენ ტერიტორიიდან, თითქმის ყველა გარევაჭრობით იყო დაკავებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ატიპური ტუბერკულოზის ფორმა მკურნალობის სამწლიან კურსს ითვალისწინებდა.

აღნიშნულის შესახებ რასაკვირველია მედპერსონალიც საქმის ყურში იყო და ტექნიკური პერსონალიც. სანდრას ზეობის ხანაში მიღებული ფორმა იყო რამდენიმე ადამიანს ათასობით გასამრჯელო, დანარჩენებს კაპიკები. ჰოდა, სწორედ ექთანმა „გამანდო“ საიდუმლო, რომელიც შემდეგ გადავამოწმე და სხვა თანამშრომლებმაც დამიდასტურეს და სხვა უტყური ფაქტებიც მოვიპოვე...“

ᲫᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲖᲐᲠᲜᲐᲫᲔ

უცხო სიტყვათა კოლხური წარმოშავლობა

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

დაკვირვებული მკითხველი იტყვის, აკი ნოსირში (ნოსკირში) დაიბადაო? აქ დასაბუთებით არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ შედარებისათვის მოვიყვანთ პარალელს, ციტატას შიურეს წიგნიდან, სადაც ის გამოთქვამს მოსაზრებას ქრისტეს დაბადების შესახებ პალესტინის ბეთლემსა თუ ნაზარეთში.

ედუარდ შიურე თავის წიგნში **"დიდი ხელდასხმულები"** ქრისტეს დაბადებასთან დაკავშირებით ამბობს (მოგვყავს ჩვენეული ქართული თარგმანი):

"იესო ძალიან დიდი ალბათობით დაიბადა ნაზარეთში". და იქვე, სქოლიოში დასძენს: **"შესაძლებელია ისიც, რომ იესო, რაღაც შემთხვევის წყალობით დაიბადა ბეთლემში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს გადმოცემა შედის უფრო გვიანდელი ლეგენდების ციკლში, რომლებიც ეხებიან წმინდა ოჯახსა და ქრისტეს ბავშობას"**: (Эдуард Шюре, **"Великие посвященные"**, Очерк эзотеризма религии, Калуга, Типография Губернской Земской Управы. 1914, გვ.352)

სიტყვა **"ბერე"** რომ თვით ბიბლიის საკვანძო სიტყვაა, ეს სჩანს სიტყვა **"ბერეშით"**-იდან. მოვიყვანოთ ამონარიდი ჩვენი სტატიიდან: **"უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა"** (ჟურnალი **"ცოტნეიდელი"** ტ.V, გვ. 152-153):

"ბერეშით" – ებრაული დაბადების პირველი თავის, პირველი მუხლის პირველი სიტყვაა, რაც თითქოს ნიშნავს **"თავდაპირველად"**. **"ბერე"** მეგრულ-ლაზურად ნიშნავს **"ვაჟიშვილს", "ძეს", "პირმშოს"** ასე რომ **"ბერეშით"** შეიძლება წაკითხული იქნას როგორც **"ძისით"** და ამ შემთხვევაში პირველი მუხლი წაიკითხება: **"ძისით შექმნა ღმერთმა ცა და მიწა"**.

ეს მოსაზრება რომ ვინმეს ჩვენი ფანტაზიის ნაყოფად არ მოეჩვენოს, მოვიყვანთ ამონარიდს წიგნიდან **"Толковая Библия"** под редакцией профессора Д.П.Лопухина, **"Ветхий Завет"**, I, Москва стр.32 **"Книга Бытия"** гл.1:

1. В начале сотворил Бог небо и землю.

В начале... Как у святых отцов так во всей последующей истолковательной литературе существуют два главных типических толкования данного слова. По господствующему мнению одных – это простое хронологическое указание **"на начало творения видимых вешей"** (Эфрем Сирин), т.е. всего того, история постепенного образования чего излагается непосредственно далее. По аллегоригескому же толкованию других (Ориген, Амвросий, Августин и пр.), слово **"в иачале"** имеет здесь индивидуальный смысл, заключая в себе прикровенное указание на предвечное рождение от Отца второй ипостаси Святой Троицы – сына Божия, в котором и через Которого было совершено все Творение (Ин. 1:3; кол. 1:16).

სწორედ ამ ამონარიდიდან, განსაკუთრებით მისი ბოლო ნაწილიდან (რომელსაც მხარს უჭერდნენ ისეთი ავტორიტეტები, როგორებიცაა ორიგენე, ამბროსი, ავგუსტინე და სხვა) აშკარად სჩანს, რომ ჩვენი მოსაზრება დაბადების პირველი თავის პირველი მუხლი წაკითხულ იქნას, როგორც **"ძისით შექმნა ღმერთმა ცა დამიწა"**, საკმაოდ რეზონულია.

გამოდის, რომ ბერთემი (ბეთლემი), რომელიც უშუალო კავშირშია მეგრულ-ლაზურ **"ბერე"**-სთან წარმოადგენს ებრაული ბიბლიის პირველივე სიტყვას (ბერეშით) და რომელიც მსოფლიო მამების მიერ აღიარებულია, როგორც ფარული მინიშნება წმინდა სამებიდან ძე (ბერე) ღმერთის, როგორც მეორე იპოსტასის მარადიული დაბადებისა, რომელშიც და რომლის მეშვეობითაც იქნა შექმნილი მთელი სამყარო.

ბეთლემი იყო აღმოსავლეთ საქართველოშიც. აი, რას ვკითხულობთ მის შესახებ ენციკლოპედიაში **"საქართველო"** ტ.1, გვ. 391-392: **"ბეთლემი – ... თქმულების თანახმად, რომელიც წერილობით პირველად ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII-ს) თხზულებაში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" არის ფიქსირებული, ბეთლემის გამოქვაბულში დაცულია ძველი და ახალი აღთქმის რელიგიების ფუძემდებლური სიმბოლური ნივთები: "...მყინვარის კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკუთეილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს ჯაჭვი რკინისა, გადმოკიდებული ქუაბიდან, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსუეტოდ, უსახლოდ და სხუათაცა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ...". სხვათა გადმოცემით, ამ ნივთებს ემატება ციური მანანა და ის ძღვენი (ოქრო, გუნდრუკი და მური), რომელიც ახალშობილ მაცხოვარს მიართვეს მოგვებმა. ხევსურული ანდრეზით, "ბეთლემის სახლი" ჯვართა ანუ ღვთისშვილთა სამყოფელია, სადაც ისინი მტრედების სახით არიან; აქვეა ოქროს აკვანი ყრმის, რომელსაც მტრედები კვებავენ ხორბლის მარცვლებით. იგივე ანდრეზი ხევსურეთის მთავარ სალოცავს – გუდანის ჯვარს "ბეთელემის სახლიდან" წარმომავლად თვლის, როგორც კვრივი, საკრალური ადგილი, ბეთლემი მიუწვდომელია უბრალო მოკვდავთათვის. თქმულება ასახელებს ერთადერთ წმინდა ბერს, რომელსაც თავისი სიწმინდის ჯილდოდ წილად რგებია ბეთლემის საიდუმლოთა ხილვა, ოღონდ გამხელა მისი აკრძალული ჰქონია. ხევსურული თქმულებით, ეს არის გუდანის ჯვრის მკადრე-გახუა მეგრელაური..."**

როგორც ვხედავთ, ბეთლემი არის როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში. მაგრამ დასავლეთში ის არის სოფელი, ხოლო აღმოსავლეთში **"ქუაბნი მყინვარის კლდეთა შინა"**, სადაც ინახება რელიგიების ფუძემდებლური ნივთები და **"სხუათაცა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ"**. ეს კიდევ ერთხელ აძლიერებს ჩვენს მტკიცებას, რომ ქრისტეს სამშობლო იბერიაა, ხოლო მისი დაბადების ადგილად უნდა მივიჩნიოთ სოფელი ბეთლემი (ბერთემი), რადგანაც ამ ტოპონიმის (ბერთემი) ეტიმოლოგია გამომდინარეობს კოლხურიდან, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ისე კი უნდა ითქვას, რომ ქრისტეს ეპოქისათვის საქართველოს ერქვა იბერია (იგივე კოლხეთი) და ქვეყანა იყო ცივილიზაციის აკვანი (ასეთ დასკვნამდე უკვე მივიდნენ მსოფლიო მეცნიერები) და სად უნდა მოვლენოდა კაცობრიობას მხსნელი, თუ არა აქ.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ თქმულება ასახელებს ერთადერთ წმინდა ბერს, რომელსაც თავისი სიწმინდის ჯილდოდ წილად რგებია ბეთლემის საიდუმლოთა ხილვა, ოღონთ გამხელა მისი აკრძალული ჰქონია და რომ ეს არის გუდანის ჯვრის მკადრე – გახუა მეგრელაური.

აქვე ვიტყვით, რომ ქირსე მეგრულად ნიშნავს ქრისტეს, ქრისტეშობას, რომელიც მომდინარეობს ქირუა (ქირაფა) სერისაგან. ქირუა (ქირაფა) ნიშნავს გაშეშებას, გაჩერებას. ე.ი. ქირუა სერი, რომლის აბრევიატურაა ქირსე, ნიშნავს გაჩერებულ ღამეს (მ. სიჯინავა). სწორედ ქრისტეშობისას, დეკემბერში რამოდენიმე ღამის (სერიშ) ხანგრძლივობა თითქმის იდენტურია, ხოლო შემდგომ იწყებს კლებას, დღე კი მატებას. ამ ეტიმოლოგიიდან სჩანს, რომ ეს სიტყვა აშკარად კოლხური წარმომავლობისაა და აქედან შევიდა ის მსოფლიოს სხვა ენებში. ეს კიდევ უფრო აშკარას ხდის ჩვენი უფლის, ისეო ქრისტეს (ქირსეს) კოლხურ წარმომავლობას.

კიდევ მეტი, ერნესტ რენანი თავისი წიგნის **"ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა"** დასაწყისში ამბობს: **"სახელი "იესო" დამახინჯებული "გიშიე" ანუ "იეშუა"-ა და ძალიან გავრცელებული იყო ურიასტანში"** (გვ.8) ჩვენ მოვიძიეთ მსგავსი აგებულების სახელები აკაკი ჭანტურიას წიგნიდან "მეგრული სახელები და გვარები: აი, ისინიც: აშუ, აშური, აშურია, აშურიმირთი, გაშუ (ეს სახელი მეგრულად პირდაპირ ნიშნავს: **"შენ იშოვე"**), გაშუია, გუშა, გუშაში, გუში, გუშიე, ეშა, ეშახან, იშო, იშოია და სხვა მრავალი ამ ძირის ალომორფული სახელები, როგორც ვხედავთ ამ ძირის სახელები გავრცელებული ყოფილა არა მხოლოდ ურიასტანში.

ჩვენი აზრით **"იესო ქრისტე"** ნიშნავს შემდეგს (თუ მას წავიკითხავთ მეგრულად): **"იშუ (იშუა, იშვა) ქირუა სერს"** რაც ნიშნავს **"დაიბადა გაჩერებულ (გაშეშებულ) ღამეს"**. **"შუალა"** მეგრულად ნიშნავს ქსოვას, ხოლო **"შილი"** ნიშნავს მოქსოვილს, საიდანაც გამომდინარეობს ქართული **"შვილი"**. ასე, რომ **"იშუ"** (იშუ, იშვა) შეიძლება წავიკითხოთ, როგორც **"მოქსოვა"** (უფრო სწორედ **"მოქსოვდა"**).

მეორე ვარიანტით ეს შეიძლება იყოს **"გიში ქირუა სერს"**, სადაც **"გიში"** ნიშნავს **"გიშოვე"** და შეიძლება სხვა ვარიანტებიც. ასეა თუ ისე – **"იესო ქრისტე"** წმინდა წყლის კოლხური ფრაზაა და არა სახელი, რომლის წაკითხვა მხოლოდ კოლხს შეუძლია და ვერცერთ სხვა ენაზე ის სრულყოფილად ვერ გაიშიფრება.

აქვე ვიტყვით ბარემ, რომ მიხეილ ბულგაკოვი თავის ცნობილ რომანში **"ოსტატი და მარგარიტა"** ისეო ქრისტეს გამოთქვამს, როგორც იეშუა გა(ჰა)ნოცრი. წიგნის კომენტარებში ვკითხულობთ, რომ გა(ჰა)ნოცრი ნიშნავსო **"ნაზარეთიდან."**აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ტოპონიმი **"ნოცრი"** გაცილებით უფრო ახლოსაა ნოსირთან, ვიდრე ნაზარეთთან.

თუ ყველაფერი ეს, რაზეც ახლა ვლაპარაკობდით სიმართლეს შეეფერება და დარწმუნებულები ვართ, რომ ეს ასეა, მაშინ კოლხეთი, იგივე იბერია მხოლოდ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა კი არა, უფლის სამშობლოა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ნოსირის კიდევ ერთ ტოპოომონიმად შეიძლება განვიხილოთ ფორმა **"ნოცილი"**, რაც ქართულად შეიძლება გამოვთქვათ, როგორც **"ნაცილევი"**, ანუ ადგილი, რომლის გარშემო იყო (და ჩვენი აზრით დღემდე მიმდინარეობს) დიდი ცილობა.

აქ მოვიყვანთ შესავალ ნაწილს სტატიიდან **"რა საიდუმლოს იცავენ ქართველი ბერები"**, რომელიც წარმოადგენს ინტერვიუს ცნობილ ბიოენერგოკორექტორთან ელა მჟავიასთან (გაზეთი **"ასავალ-დასავალი"** 45 (892), 2011 წელი, 7-13 ნოემბერი, გვ.34): **"ძლიერნი ამა ქვეყნისანი დღემდე ეძებენ საიდუმლო ცოდნას, რომლის ხელში ჩასაგდებადაც ჯერ კიდევ ბერძენი იასონი ჩამოვიდა კოლხეთში. ცდა არც ტამპლიერთა საძმოს წევრებს დაუკლიათ, მაგრამ დავით აღმაშენებლის შემწეობის მიუხედავად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველმა ბერებმა მოასწრეს მისი გატანა უცნობი მიმართულებით. ამ საიდუმლო ცოდნას ეძებდნენ ჩინგიზ-ხანი, თემურლენგი, ჰიტლერი, სტალინი... ვნებათაღელვა დღემდე არ ცხრება – მალტის ორდენის რაინდების: მიხეილ გორბაჩოვის, ედუარდ შევარდნაძის და მიხეილ სააკაშვილის დახმარებით, ძებნას კვლავაც აგრძელებენ მსოფლიოზე გაბატონების მსურველები."**

ნუგზარ კვაშილავა

ჩხოროწყუში დამზადებული აბრეშუმი მარსელსა და ლიონში

უკვე დიდი ხანია მისდევენ კოლხეთის დაბლობზე მეაბრეშუმეობას, რადგან აქ უხვად ხარობს აბრეშუმის ჭიის ერთადერთი საკვები – თუთის ხის ფოთლები. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოში თუთის ხეები რაღაც დაავადებამ თითქმის სრულიად გაანადგურა, რამაც დარგის კოლაფსი გამოიწვია, ქართველი გლეხის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად თუთის ხეებმა კვლავ გაიხარეს და თითქმის კრახის ზღვარზე მისული მეაბრეშუმეობაც აღორძინდა.

პირველი რკინის სადნობი, სამკაულების დასამზადებელი დაზგა და აბრეშუმის საამქროს ნაწილები – ეს მცირე ჩამონათვალია, რომელიც ჩხოროწყუს მუზეუმის სიმდიდრეს წარმოადგენს.

ორსართულიანი, საბჭოთა არქიტექტურის შენობა ჩხოროწყუს ცენტრში მდებარეობს. აქ ზაფხულობით ისე ცხელა, რომ მუზეუმის თანამშრომლები გასაგრილებლად ფანჯრებს აღებენ. ზამთარში კი ტემპერატურა იმდენად ეცემა, რომ მისი გათბობა ელექტროღუმელებით თითქმის შეუძლებელია. მუზეუმის დირექტორი ნაირა ციმინტია ამბობს, რომ მომავალი წლისთვის მუზეუმის შენობაში გეგმავენ თანამედროვე სტანდარტების დანერგვას.

ექსკურსიამძღოლი ინგა ალანიძე გვეუბნება, რომ დასავლეთ საქართველოში პირველი აბრეშუმის საფეიქრო სწორედაც რომ ჩხოროწყუში იყო, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებმა ბასა სიჯინავამ დაარსა.

„1860 წელს გაზეთი „ივერია" წერდა, რომ ადგილობრივ მცხოვრებ ბასა სიჯინავას ჩხოროწყუში დაუარსებია აბრეშუმის საფეიქრო და აქ დამზადებული აბრეშუმი მარსელსა და ლიონში იგზავნებოდა გასაყიდად", – ამბობს ინგა ალანიძე.

სწორედ ამ საამქროს შემორჩენილი ნაწილები ინახება მუზეუმში, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეორე სართულზე, დადიანების კუთხის გასწვრივ.

მუზეუმის თანამშრომლის იგორ ფიჩხაიას თქმით, ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ძველი წელთაღრიცხვის დროიდან ამ ტერიტორიაზე მცხოვრები წინაპრები მდვიმეებში ქვებს მოიპოვებდნენ და მისგან რკინას ადნობდნენ.

„აქ ინახება ქვა, რომლის 58% რკინას შეიცავს. ასეთი ქვა ძირითადად ზისნახეს გამოქვაბულშია. ამ ქვებს ახლა უცხოელი და ქართველი მეცნიერები სწავლობენ", – გვითხრა მუზეუმის თანამშრომელმა.

რკინის გარდა ჩხოროწყუში მინერალებს და ნახევრად ძვირფას ქვებსაც მოიპოვებდნენ.

„მუზეუმში წარმოდგენილია ქვის უმარტივესი იარაღები, რისგანაც ადამიანები ამზადებდნენ ძალიან მაღალი დონის, დახვეწილ სამშვენისებს. ჩვენ გვაქვს სამშვენისების ნიმუშებიც, აქ წარმოდგენილია ბრინჯაოს, აქატის, გიშრის, ქვებით და მინით ნაკეთი ისეთი სამკაულები, რომ მათზე თანამედროვე ქალბატონებიც არ იტყოდნენ უარს", – ამბობს ინგა ალანიძე.

მუზეუმში ასევე ვნახეთ თამბაქოს საჭრელი დაზგაც, რომელიც აქტიურად გამოიყენებოდა აფხაზეთსა და სამეგრელოში, რადგან ამ ადგილებში თამბაქოს წარმოება ფართოდ იყო გავრცელებული.

მუზეუმში ინახება ასევე, მე-11 საუკუნის არქიტექტურული ძეგლის – ოცინდალეს ეკლესიის ჩუქურთმები.

„როცა ეკლესიას 80-იან წლებში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა, სამწუხაროდ ეს ქვები მორჩათ ოსტატებს და მუზეუმში ვინახავთ", – გვითხრა ინგა ალავიძემ.

მუზეუმში გამოფენილი ყველა ნივთი ადგილობრივი ნედლეულით და ჩხოროწყუს მცხოვრებლების მიერ არის დამზადებული. სამუზეუმო ექსპონატები მასწავლებელმა გრიშა შენგელიამ გლეხებისგან შეაგროვა და მუზეუმი დააარსა 1978 წელს. მუზეუმში დღეისათვის 22 ათასზე მეტი ექსპონატია დაცული.

ნანა ხუბუტია

„ᲔᲡᲐᲐ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ ᲛᲔᲡᲠᲝᲠᲒ ᲛᲐᲨᲢᲝᲪᲛᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ“

„გაყალბებული ისტორია თუ ქარიშხალი ჭიქაში?!“

„აბსოლუტურად მიუღებელია ამ კონტექსტში ჩვენი მეზობელი ქვეყნიდან მომავალ საფრთხეებზე ლაპარაკი, ეს არის ფობიებით დახუნძლული ადამიანთა მოსაზრებები, რომლებიც შეთქმულების თეორიებით ცხოვრობენ. ეს არის ჭიქაში ქარიშხლის ატეხის მცდელობა, რაც მათი მოსაზრებით, წინასაარჩევნოდ ვითარების დაძაბვას ემსახურება“

2015 წლის მარტში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით **„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას“**, როგორც ასომთავრული, მხედრული და ნუსხური დამწერლობის თანაარსებობის უწყვეტ ტრადიციას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ამასთანავე, საზოგადოებისა და მთავრობის მხარდაჭერით მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და სამივე ანბანი იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნომინაციაზე წარადგინეს. იმ შემთხვევაში, თუ ქართული დამწერლობა ოფიციალურად მიიღებს სტატუსს, საქართველო არამატერიალური ძეგლის სტატუსის მქონე დამწერლობის, სამი თანაბრად მოქმედი ანბანის მფლობელი პირველი ქვეყანა იქნება...

არსებული ინფორმაციით, იუნესკომ ორწლიან ვადაში უნდა განიხილოს ქართული ანბანისთვის მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭების საკითხი. თუმცა, ამ თემას მოდავეები გამოუჩდნენ, – მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებით, იუნესკოსთვის გაგზავნილ ვერსიაში შეცდომაა, – კონკრეტულად, ქართული ანბანის წარმოშობის თარიღად საბჭოთა მეცნიერების დროინდელი თარიღია მითითებული, ანუ ის პერიოდი, როდესაც მათივე ვერსიით, ქართული ანბანის ავტორი სომეხი ისტორიკოსი მესროპ მაშტოცია.

მარინა ცინცაბაძე, მეცნიერი:

– ცნობილია, რომ კულტურის სამინისტრომ სამი ქართული ანბანი იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნომინაციაზე წარადგინა. საუბარია, სამ საანბანო სისტემაზე: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. ასე იყო საყოველთაოდ ცნობილი, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვანაირად მომხდარა, ამ დოკუმენტაციაში ჩადებული იყო ყალბი ინფორმაცია, რომელიც ასომთავრულ საანბანო სისტემასთან დაკავშირებით, შეცდომაა.

– რაში მდგომარეობს შეცდომა?

– შეცდომა არის თარიღში, – ასომთავრული ახალი წელთაღრიცხვით კი არა, ძველი წელთაღრიცხვის დროს შეიქმნა. არადა, იუნესკოში გაგზავნილ ვერსიაში, ქართული ანბანის სამი სახეობიდან მრგვლოვანი ანბანის წარმოშობის თარიღად მითითებულია ახ. წ. აღ.-ის 429-450 წელი, რაც კარგა ხანია უარყოფილია ქართველი მეცნიერების მიერ და ამის დამადასტურებელი ბევრი წყარო არსებობს, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის ისტორიული ნარკვევი. რაც მთავარია, იუნესკოსთვის გაგზავნილ ვერსიაში მითითებული თარიღის მიხედვით, ყველას შეუძლია დაიწყოს დავა და მტკიცება, რომ ეს სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, რომლის მიხედვითაც საბჭოთა მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ქართული ანბანი სომეხმა განმანათლებელმა მესროპ მაშტოცმა დაწერა...

გამოდის, რომ ივანე ჯავახიშვილის, მოგვიანებით კი, მეცნიერ გია კვაშილავას უამრავი ნაშრომები და სამეცნიერო დასკვნები, სადაც ქართული საანბანო სისტემის შექმნის წინაპირობებზეა საუბარი და ქართული ანბანის შექმნის ყველაზე რეალური თარიღი ძვ.წ. აღ-ის მე-4 საუკუნეა, იგნორირებულია.

– საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ იუნესკოში გაგზავნილ დოკუმენტაციაში არასწორი თარიღია მითითებული?

– ამის შესახებ დაინტერესდა იურისტი ანზორ ფეიქრიშვილი და საკუთარი კავშირებით, ამ დოკუმენტაციის ქართული ვარიანტი მოიპოვა.

– ამის შესახებ არავინ იცოდა?

– როგორ არა, აუცილებლად ეცოდინებოდა მეცნიერებათა აკადემიასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელიც ამ საქმეში ჩართული იყო. ასეთი ტიპის დოკუმენტაცია გრიფით არის დაბეჭდილი და დამტკიცებული.

კონსტანტინე ნაცვლიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო:

– დავიწყოთ იქიდან, რომ ბატონ ანზორ ფეიქრიშვილს ეს დოკუმენტაცია კანონიერი გზებით არ აქვს მოპოვებული და ახლა ამით აპელირებს. ქართული ვერსია, რომელზეც ის საუბრობს, რა თქმა უნდა, იდენტურია ინგლისურისა, მაგრამ რაც შეეხება თავად თარიღს, რომელიც არის მითითებული, ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ კვლევებს. ჩვენ ამ ნომინაციასთან მუშაობის დროს ვთანამშრომლობდით ყველა იმ ინსტიტუციასთან, რომელსაც ამ საქმეში სიტყვა ეთქმის, ეს არის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მეცნიერებათა აკადემია, ხელნაწერთან ინსტიტუტი...

ასე რომ, თარიღი, რომელიც ამ ნომინაციაში **„გაჩნდა“** და რატომღაც არ მოეწონათ, არგუმენტირებულია. რაც შეეხება, მათ უკმაყოფილებას, ბატონმა ფეიქრიშვილმა ორჯერ მოგვმართა განცხადებით და ორჯერვე გავეცით პასუხი. პირველი განცხადება იყო სრულიად ნეოფაშისტური, რომელიც აგებული იყო ქართულ ნეოფაშისტურ იდეოლოგიაზე და მას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს, ისევე როგორც ის ფანტაზია, რომ შუმერებიდან მოდის ქართული ანბანი და მსგავსი ზღაპრები. თუმცა, ასეთი ტიპის დოკუმენტის გადაგზავნა იუნესკოსთვის ისეთივეა, საზოგადოების ერთი ნაწილი რომ ირწმუნება, პირამიდები უცხოპლანეტელებმა ააშენესო. ასეთი რამეები არ ხდება...

ასეთ რამეებს ჰყვებიან ის ადამიანები, რომელთაც მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არ აქვთ, უბრალოდ, ქუჩაში გამვლელები არიან... გარდა ამისა, ეს არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სექტორში გაგზავნილი ნომინაცია და მიზნად არ ისახავს ისტორიული ფაქტების კონცენტრირებას, ანუ იუნესკოს ის სექტორი, რომელიც არამატერიალურ კულტურაზე არ მუშაობს, ისტორიული ფაქტების უტყუარობის დადგენით არ არის დაკავებული. ანბანის სამი სახეობიდან ორს – ხუცურს იყენებს საპატრიარქო, მესამე – მხედრული არის საერო მოხმარებისა. მათი ერთობა, ერთიან კულტურულ სივრცეში არის ჩვენი ამოსავალი წერტილი. ასე რომ, იმაზე დავა, რომ აქ სხვა თარიღია, სრულიად უსაგნოა. დასამალი არაფერი გვაქვს, ეს ყველაფერი ისედაც გამოქვეყნდება იუნესკოს საიტზე, როგორც კი ამის აღიარება მოხდება... ლეგენდები ძალიან კარგია და ქართული ლეგენდები შესაძლოა კიდევ ერთი ნომინაციის თემა გახდეს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ სულ სხვა არგუმენტებით ვიხელმძღვანელეთ.

– კონკრეტულად რომელ სამეცნიერო აღმოჩენას დაეყრდენით?

– პალესტინაში აღმოჩენილი იატაკის მოზაიკის ფაქტებს, რომლის თარიღი ზუსტად არის დადგენილი, როგორც საერთაშორისო, ისე ქართველი სამეცნიერო საზოგადოების მიერ. სხვა თარიღი, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ, ჯერჯერობით, არ გვაქვს.

– მეცნიერთა ამ ნაწილის მტკიცებით, იუნესკოსთვის გაგზავნილ დოკუმენტაციაში მითითებულია ახალი წელთაღრიცხვით IV საუკუნე, მაშინ როდესაც ივანე ჯავახიშვილის წყაროებში ქართული ანბანი ძვ. წ.აღ-ით თარიღდება...

– ეს არის ვარაუდი, რომ ქართული ანბანი მანამდეც არსებობდა, მაგრამ ეს მეცნიერული ფაქტებით არ არის დადასტურებული... აბსოლუტურად მიუღებელია ამ კონტექსტში ჩვენი მეზობელი ქვეყნიდან მომავალ საფრთხეებზე ლაპარაკი, ეს არის ფობიებით დახუნძლული ადამიანთა მოსაზრებები, რომლებიც შეთქმულების თეორიებით ცხოვრობენ. ეს არის ჭიქაში ქარიშხლის ატეხის მცდელობა, რაც მათი მოსაზრებით, წინასაარჩევნოდ ვითარების დაძაბვას ემსახურება.

ლალი პაპასკირი

P.S. *უარესიც მოხდა – „ინტერფაქსის“ ინფორმაციით, სომხეთმა იუნესკოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 450 ეკლესიის სომხურად აღიარების თხოვნით მიმართა. ინფორმაციას ამის შესახებ „ინტერფაქსი“ ბაქოში არსებულ „სანდო წყაროზე“ დაყრდნობით ავრცელებს. ამასთან, გამოცემის ცნობით, აზერბაიჯანის დედაქალაქში მიიჩნევენ, რომ სომხური მხარის ეს ნაბიჯი მოსალოდნელი იყო.*

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ფაუდ ახუნდოვის განცხადებით, სომხური მხარის ამჟამინდელი პრეტენზიები აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში არსებულ მატერიალურ თუ არამატერიალურ მემკვიდრეობასთან მიმართებაში სომეხი ისტორიკოსების მრავალსაუკუნოვანი ფალსიფიკაციის შედეგია.

დასადგენი ახლა მხოლოდ ისაა, თუ რაში სჭირდებოდა 500 ეკლესია იმ ერს, რომელმაც ჩარჩობის მეტი არაფერი იცოდა და საუკუნეთა მანძილზე აღებ-მიცემობით აგროვებდა ფულს! რაც შეგვეხება ჩვენ, ვიდრე არ ვაღიარებთ, რომ ქართული კულტურა კოლხური ცივილიზაციიდან იღებს სათავეს, მუდამ ამგვარ გაურკვეველობაში ვიქნებით და უჯიშო ერების საქილიკოდ გავიხდით თავს!

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲦᲣᲞᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲭᲑᲔᲑᲖᲔ

„კოლხეთის ეროვნულ პარკში, პალიასტომის ტბაზე თევზების სიკვდილიანობა დაფიქსირდა, რაც სავარაუდოდ ასფიქსიით (ჟანგბადის ნაკლებობა) არის გამოწვეული,

„გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის, პაატა ბატიაშვილის ხელმძღვანელობით, ტერიტორია შეისწავლეს გარემოს ეროვნული სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სპეციალისტთა ჯგუფმა. მოხდა თევზის შეგროვება, ტბის 6 წერტილში აღებულ იქნა წყლის სინჯები, შემდგომი გამოკვლევის მიზნით. აღსანიშნავია, რომ თევზების ასფიქსია ზოგადად დამახასიათებელია პალიასტომის ტბისთვის ზაფხულის ბოლოსა და ადრე შემოდგომაზე“, – ნათქვამია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„საგულისხმოა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებს პალიასტომის ეკოლოგიური ბალანსის აღდგენის რეკომენდაციები შემუშავებული აქვს, რაც ეტაპობრივად მსგავს შემთხვევებს შეამცირებს. ამჟამად მიმდინარეობს მოპოვებული მასალის ლაბორატორიული დამუშავება გარემოს ეროვნული სააგენტოში“, – აცხადებენ გარემოს დამცველები.

აღსანიშნავია, რომ თევზების მასობრივად დაღუპვა მარტო პალიასტომზე არ ხდება. გასულ კვირას კრწანისის ტყეპარკში არსებული ტბების დაბინძურებაზეც გავრცელდა ინფორმაცია.

ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც კრწანისის ტყეპარკში არსებულ ტბებზე თევზის მასიურ კვდომას ეხებოდა, გარემოსა დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის და გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა წყლის სინჯები აიღეს და მიმდებარე ტერიტორია დაათვალიერეს.

„ტერიტორიის დათვალიერებისას დადგინდა, რომ ტყე-პარკში, სადაც 3 ტბაა (მრავალი მცირე ტბა) განთავსებულია საკანალიზაციო ჭები. კანალიზაციის სისტემა გამართულად მუშაობს, გარდა ტყეპარკში გამავალი ერთი საკანალიზაციო მილისა, რომელიც არის ამოტეხილი. დაზიანებული მილიდან გადმოედინება წყლის ნაწილი და ხელოვნურად გაჭრილი არხით ჩაედინება ტბაში.

დათვალიერებული იქნა ყველა ტბის სანაპირო ზოლი. ვიზუალური დათვალიერებით არცერთი ტბის ნაპირზე არ შეინიშნებოდა დახოცილი თევზები, მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებისას არ დაფიქსირდა რაიმე სახის საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნარჩენების დაყრის კვალი, თუ არ ჩაითვლება რამდენიმე პოლიეთილენის პარკი და ბოთლი. საგულისხმოა, რომ ეს ტბები არ ივსება მტკვრის წყლით და ასევე, არ ხდება მდინარე მტკვარში ტბის წყლის ჩადინება. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტს, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს დაზიანებული მილის რეაბილიტაცია“, – აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

როგორც აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით **„მთელ კვირას“** გარემოს დაცვის სამინისტროდან განუცხადეს, ამ ეტაპზე ლაბორატორიული კვლევები მიმდინარეობს და პასუხები უახლოეს დღეებში იქნება გასაჯაროებული.

„კოლხეთის ეროვნულ პარკში, პალიასტომის ტბაზე მოგროვილი თევზები სპეციალისტებმა წაიღეს და ამ დროისთვის ლაბორატორიული შემოწმება მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ლაბორატორიაში თევზების სიკვდილიანობის ზუსტი მიზეზი დგინდება. როგორც კი ლაბორატორიული დასკვნა დაიდება, რეაგირება დაუყოვნებლივ იქნება.

რაც შეეხება კრწანისის ტყე-პარკის ტბის დაბინძურებას, იქაც ამ ეტაპზე ლაბორატორიული კვლევები მიმდინარეობს. ლაბორატორიულ კვლევას განსაზღვრული ვადები აქვს, ამიტომ ორივე შემთხვევაში პასუხი უახლოეს დღეებში იქნება“, – განუცხადეს **„მთელ კვირას“** სამინისტროდან.

როგორც ეკოლოგი სოსო ცაბაძე განმარტავს, თუ ამ პრობლემებს ყურადღება დროულად მიექცევა, ყველაფრის მოწესრიგება შესაძლებელია.

„როგორც მოგეხსენებათ, პალიასტომის ტბაში ფსკერული დანალექებია. არ არის გამორიცხული, რომ სადღაც მეთანის გამოსვლას ჰქონდა ადგილი, რასაც ჟანგბადი კომპენსაციას ვეღარ უკეთებს. რაც შეეხება კრწანისის ტყე-პარკს, ამ ყველაფრის პრევენცია რა თქმა უნდა, საკანალიზაციო მილის სწრაფი მოწესრიგებაა.

თუ ეს ყველაფერი გამართული არ იქნება, არ არის გამორიცხული საკანალიზაციო სისტემა დაზიანდეს და წყალსატევ სისტემაში მოხვდება. ამ ყველაფრის შედეგის პროგნოზირება კი შეუძლებელი იქნება".

მწვანეთა მოძრაობა **„დედამიწის მეგობრების“** თანათავმჯდომარე რუსუდან სიმონიძე არ გამორიცხავს, რომ პალიასტომის ტბაში თევზის დახოცვის მიზეზი ბრაკონიერობა იყოს.

„ზოგადად პალიასტომის ტბაში წყლის დაბინძურების კუთხით ძალიან ცუდი სიტუაციაა. დაბინძურების შედეგად ძალიან ბევრი წყალმცენარეა და ზოგადად ამ კუთხითაც რთული მდგომარეობაა".

„ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ პიროვნებამ წყალში თევზჭერის მიზნით მავნე ნივთიერება ჩაუშვა – ეს ჩემი დიდი ვარაუდია. კვლევის ჩატარება სასწრაფოდ უნდა მოხდეს. ამ ვითარების ასე გაგრძელება წარმოუდგენელია“, – აღნიშნა სიმონიძემ.

ეკოლოგ ნინო ჩხობაძის თქმით კი, ამ ყველაფერს ანალიზის გაკეთება სჭირდება და უნდა დადგინდეს საქმე ბრაკონიერობასთან გვაქვს თუ არა.

„პალიასტომის ტბაზე შესაძლოა იყოს დინამიტი გამოყენებული, რომელიც თევზის მასიურ ხოცვას გამოიწვევდა. იმის დადგენას, რომ თევზი უჟანგბადობით დაიხოცა, ცოტა სპეფიციკური კვლევა სჭირდება. ეჭვი მაქვს, რომ კოლხეთის ეროვნულ პარკთან დაკავშირებით შესაძლოა ბრაკონიერობასთან გვქონდეს საქმე. თუმცა, ამას ვერ დავამტკიცებთ, სანამ სიტუაციას ბოლომდე არ გავარკვევთ. ბრაკონიერობის დროს თუ გინდა რომ ეს დაამტკიცო, პირი ფაქტზე უნდა დაიჭირო.

ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, ეს ბრაკონიერმა გააკეთა თუ რომელიმე საწარმომ. მე კონკრეტული მიზეზები უნდა ვიცოდე. სანამ დასკვნა არ დაიდება, ამ თემაზე საუბარი წინასწარ ძალიან მიჭირს.

თევზაობის დროს დენის გატარება და დინამიტის გამოყენება საქართველოს სენია. მიუხედავად იმისა, რომ აკრძალულია. მოსახლეობას მაინც მოსწონს ასე თევზაობა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ასე უფრო მეტი თევზი კვდება, ვიდრე ბუნებრივი პირობებით.

კრწანისის ტერიტორიასთან დაკავშირებით ჩვენ სიგნალები გვქონდა, რომ იქ დაჭაობება ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ამ დროს შესაძლოა ნაკლები ჟანგბადი იყოს. ორივე მომხდარ ფაქტზე ანალიზი უნდა გაკეთდეს“, – განუმარტა ჟურნალისტს ნინო ჩხობაძემ.

ლიკა ბურაბანიძე

ილორი

ქმარზე მოძალადე ცოლის გაქრობისა და სახელმწიფო ქონების ძარცვის ამბავი

რა მეთოდით იღებდა ადიარებით ჩვენებებს მილიციის პოლკოვნიკი ვახტანგ გვარამია?

სკოლა მედალზე დაამთავრა და არჩევანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო გეოლოგიის ფაკულტეტზე შეაჩერა. პირველივე გამოცდაზე ერთი ქულა დააკლეს (გამომცდელის გვარი დღესაც ახსოვს). მაშინვე საბუთები გამოიტანა და ეძებდა, სად იყო მედალოსნებისთვის დამატებითი ადგილი. ასეთი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი აღმოჩნდა, რომელსაც სამი სპეციალობა ჰქონდა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სამართლისმცოდნეობა. ქართული ენის წერა-ზეპირის გამოცდებზე ხუთები მიიღო, მაგრამ სამართლისმცოდნეობაზე ვერ მოხვდა, რადგან მხოლოდ ერთი ადგილი იყო და სტაჟის მქონე აბიტურიენტი ჩარიცხეს. გამოცდების ჩაბარება გააგრძელა. ყველა საგანში ხუთიანი დაიმსახურა და ფილოსოფიის სპეციალობის სტუდენტი გახდა. თუმცა, მერე მაინც სამართლისმცოდნეობაზე გადავიდა. ასე დაიწყო მილიციის პოლკოვნიკ ვახტანგ გვარამიას საინტერესო პროფესიული ცხოვრების გზა.

– სხვათა შორის, სამართლისმცოდნეობის სპეციალობაზე გადაყვანისას წინააღმდეგობას წავაწყდი: ორი სემესტრი ფრიადებზე დავხურე და რექტორ კუპრაძესთან თხოვნით შევედი. მან საბუთები გადაათვალიერა და მითხრა, – მესმის თქვენი, ყველა ვერ სწავლობს ფილოსოფიურზე. მიჩვენეთ მატრიკულიო. ნახა, რომ მხოლოდ ხუთები მეწერა. – მეგონა, ცუდი ნიშნები გქონდათ და ამიტომ გადადიოდით. ე.ი. სწავლა შეგძლებიათო, – ეს თქვა და აღარ გადამიყვანა. შემდეგ რექტორად ძოწენიძე მოვიდა და იმან დააკმაყოფილა ჩემი განცხადება.

– თქვენი პირველი საქმე რა იყო, როცა მუშაობა დაიწყეთ?

– მანამდეც მქონდა საინტერესო შემთხვევა: პირველი კურსი დავამთავრე და ერთთვიან პრაქტიკაზე ფოთის პროკურატურაში გამგზავნეს, სადაც არაჩვეულებრივი პიროვნება ნუგზარ კოკაია – საოცარი პროფესიონალი და უაღრესად პატიოსანი კაცი გავიცანი. არც ბინა ჰქონდა და არც მანქანა. ბოლოს, როგორც იქნა, ბინა მისცეს, მაგრამ მის გასვენებაში რომ ჩავედი, ბინა ისევ ისეთი სარემონტო ჰქონდა, როგორიც ჩაბარეს. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ბუნებით პედაგოგი იყო და ადამიანები უყვარდა. მეორე პრაქტიკაც, უკვე მესამე კურსის სტუდენტმა, მასთან გავიარე და სწორედ მაშინ მოხდა ეს ამბავი. მოკლედ, ერთ დღეს მითხრა, მილიციაში უნდა წავიდეთო. სანამ პროკურატურიდან მილიციაში მივიდოდით, საქმის არსი ამიხსნა: **„ორი წლის წინ ფოთში ქალი, გვარად გუზდენკო დაიკარგა. ის ე.წ. სპეკულანტი იყო. ხშირად მიდიოდა უკრაინაში, ლვოვის ოლქში და საქონელი ჩამოჰქონდა. ქალის ქმარი, ვინმე კორნიკოვი მძღოლად მუშაობდა. მან მეუღლის გაუჩინარებიდან 6 თვის შემდეგ, სასამართლოში განცხადება შემოიტანა, რათა მისი ცოლი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ეცნოთ და ქონება მისთვის გადაეფორმებინათ. ამ საკითხზე მუშაობისას რამდენიმე საეჭვო ყოფაქცევის ქალი ვიპოვეთ. ერთ-ერთმა თქვა, რომ კორნიკოვს სახლში ქალები მიჰყავდა და მათ ცოლის ნივთებს ჩუქნიდა“.** მილიციაში ქალები დაგვხვდნენ. ორ დაკითხვას დავესწარი და ოქმში ასე ჩაიწერა: **„დაჰკითხა გამომძიებელმა კოკაიამ, დააფიქსირა პრაქტიკანტმა გვარამიამ“.** ერთმა ქალმა ასეთი ჩვენება მოგვცა: ერთხელ კორნიკოვის სახლში შემთხვევით, უჯრა გამოვაღე, სადაც ქალის პასპორტი ვნახე. კორნიკოვმა წამართვა. ვკითხე, – შენი ცოლი სად არის-მეთქი? – იქ, საიდანაც არავინ ბრუნდებაო. ორი დღის დაკითხვების შედეგად, კორნიკოვის მიმართ ბევრი საეჭვო ფაქტი დაგროვდა, რაც გამოძიებას ეჭვის საფუძველს აძლევდა, რომ ქმარმა ცოლი მოკლა. კორნიკოვი დააკავეს. მასთან ოპერმუშაკი ნოე ხურცია მუშაობდა. საინტერესოა, რომ მაშინ გამოძიების დროს არც ბრალდებულს და არც დაზარალებულს ადვოკატი არ ჰყავდა. ის ინიშნებოდა მხოლოდ სასამართლო პროცესზე. კოკაია და მე ციხეში სხვა საქმეზე ვიყავით, როცა ხურციამ დარეკა: ვახტანგ, ჩქარა მოდი, კორნიკოვმა დანაშაული აღიარაო. მილიციაში გავქანდით. კორნიკოვი ამბობდა, რომ ცოლი ქონების მითვისების მიზნით მოკლა და გვამი მდინარეში გადააგდო, ჩემი გამოკითხვის შემდეგ კი გაირკვა, რომ ეზოში დამარხა. შემთხვევის ადგილას გავედით (ისინი აჭარის ქუჩის №22-ში ცხოვრობდნენ). იდგა რუსული **„იზბის“** ტიპის სახლი და ცალკე – პატარა შენობა, რომელიც აბანო ყოფილა. დაბალ, შეუხედავ და კუნთებიან კორნიკოვს ცოლი აბანოს იატაკქვეშ დაუმარხავს. გზაში გვითხრა, რომ ცოლი ლოთს, მუქთახორას ეძახდა და სცემდა კიდეც. შენობაში ორი პატარა ოთახი, რუსული აბანო და გასახდელი იყო. ფიცრული იატაკის აყრა კორნიკოვმა დაიწყო, მერე სხვაც მივახმარეთ და სილაში (მიწის ნაცვლად სილა დაგვხვდა) რაღაც თეთრი ამოცვივდა. თურმე, როცა გვამი სილაში იმარხება, ცხიმი გარეთ გამოდის და სხეული გამოფიტული რჩება. გუზდენკო მაღალი და სქელი ქალი ყოფილა. კორნიკოვმა ჩვენება მოგვცა: **„ჩემს ცოლს ვუთხარი, ვიბანაოთ-მეთქი, გავიხადეთ და აბანოში შევედით. ნაჯახი, რომელიც წინასწარ შევიტანე ოთახში, თავში ჩავარტყი...“** მეზობლებმა დაადასტურეს, რომ გუზდენკო ძლიერი და შემტევი ქალი იყო და ქმარსაც ურტყამდა ხოლმე. კორნიკოვი არ დაუხვრეტიათ. რამდენი წელი მიუსაჯეს, არ მახსოვს.

– გრიფი საიდუმლო რა სახის დანაშაულს ეხებოდა?

– ასეთი საქმეები არ გვქონია. პირიქით, თუკი ცნობილი და თანამდებობის პირი დანაშაულს ჩაიდენდა, ამ ფაქტს იმ მოტივით ახმაურებდნენ, რომ ეთქვათ, – აი, როგორი დაუნდობელია სისტემა ნებისმიერი კანონდამრღვევის მიმართო. თუნდაც, ხაბეიშვილის, ფინანსთა მინისტრ ანანიაშვილის, საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსის, **„გოსსნაბის“** საქმე და სხვა უამრავი მაგალითი შემიძლია დაგისახელოთ.

– რამდენი იყო ყველაზე დიდი თანხა, რაც სახელმწიფოს მოჰპარეს?

– **„გოსსნაბის“** – მომარაგების მთავარი სამმართველოს მიერ მიტაცებული თანხის რაოდენობამ, 35 მილიონ მანეთს მიაღწია.

– დაკითხვის პროცესისას, სიამოვნებას თუ იღებდით?

– დაკითხვის დროს ვინც სიამოვნებას იღებს, ის სადისტია. შენ გინდა გაიგო ის ინფორმაცია, რომელიც გაწყობს, მაგრამ ის რა მდგომარეობაშია? ისიც ადამიანია და იტანჯება! დამნაშავე ხშირად იტყუება – ასე თავს იცავს. თითოეული დაკითხვა არასტანდარტულია, რადგან გამოძიება არის შემოქმედებითი პროცესი.

– იმ დროის კანონიერი ქურდების შესახებ რას გვეტყვით?

– არც ისე დიდი ხნის წინ, მოსკოვში ერთი აისორი კანონიერი ქურდი მოკლეს (ქურდები იმდენი იყვნენ, მათი გვარების დამახსოვრებას საჭიროდ არ მივიჩნევ). ის ნაძალადევში ცხოვრობდა და 2-3-ჯერ დაიჭირეს კიდეც. მერე აქედან გაიქცა და მოსკოვში გაითქვა სახელი. ქურდების 2/3 მაინც მილიციის ინფორმატორი იყო.

– ოდესმე საქმის კეთებისას, წონასწორობა დაგიკარგავთ?

– იშვიათად ყოფილა შემთხვევა, როცა ხმისთვის ამიწევია. ისეთი თავშეკავებული და წყნარი ვიყავი, ბევრს ეგონა, ამისგან არაფერი გამოვაო. ლაზიშვილების საქმეზე, 120-ზე მეტი კაცი პასუხისგებაში მივეცით. ერთ-ერთი იყო ცოტნე ყუფარაძე, არაჩვეულებრივი ინტელექტუალი. მაშინ ახალგაზრდა ბიჭი ვიყავი და როცა ფაქტები წინ დავუდე, მითხრა: ჩემო ვახტანგ, რაც მითხარი, ყველაფერი სწორია. მოდი, რა, კაცად ნუ გამაფუჭებ და ამას ნუ მათქმევინებ, თავი დამანებეო. მეტი შეკითხვა მისთვის აღარ დამისვამს. მან 10 წელი მოიხადა.

– რომელიმე საქმე თქვენს კარიერულ წინსვლას უკავშირდება?

– 1966 წელს, 26 წლის უფროსი ლეიტენანტი, ფოთიდან თბილისში შსს-ში, ყოველგვარი ჩაწყობის გარეშე გადმოიყვანეს. კვირა დღეა, 12 ივნისი. განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა ხომერიკმა მე და მაიორი ვარაზანაშვილი მანქანაში ჩაგვსხა და დასავლეთ საქართველოსკენ წავედით. სად მივდივართ, არ გვეუბნება. ცხაკაიაში (დღევანდელი სენაკი) ჩავედით. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი მოქმედებს ცხაკაიის ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკაში და დიდი ოდენობით თანხებს იპარავს. მაგალითად, 18 ათასი მანეთის საქონელი წულუკიძის (ხონის) ერთ-ერთ მაღაზიაში შეიტანეს და ამ საქმეზე უნდა ვიმუშაოთ. დაკავებულია საწყობის გამგე ბარბაქაძე, განყოფილების უფროსი შენგელია და ვინმე აჯიაშვილი. მომიყვანეს ბარბაქაძე. ხნიერი კაცია. თბილად მივმართე, – აბა, ვალიკო ბიძია, როგორ იყო საქმე, მომიყვი-მეთქი. იმანაც, გააღო პირი და დაიწყო: მთავარი ინჟინერი გეგუჩაძე მოვიდა ჩემთან, რომელიც დირექტორ ლაბარტყავასთან იყო შეთანხმებული. საქონელი ხონის მაღაზიაში წავიღეთ, სადაც გამგეა ძიძიგური, გამყიდველი – ახალგაზრდა გოგო ამბროლიანიო. ეს ყველაფერი დავწერე და უფროსებს შევუტანე. რა გინდაო? – პატარა ბიჭი ვარ და არასერიოზულად მიყურებენ. მერე დაკითხვის ოქმი წაიკითხეს და კმაყოფილები დარჩნენ, – მეორეც შენ დაჰკითხეო. დავუჯექი შენგელიას (გუგუშა ერქვა), ისიც ალაპარაკდა. ყველაფერი დაადასტურა და დასძინა, რომ ხონის გარდა, საქონელი მიჰქონდათ სოხუმში, ზალენჯიხაში, თბილისში, ქუთაისში. მოკლედ, მთელი ქსელია გაშლილი, ძაფსაც და ქსოვილსაც ყიდიან. საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელად დამნიშნეს. აღმოჩნდა, რომ ხონის ცეკავშირის მაღაზიაში შეტანილი ხაოიანი ქსოვილის რულონები გაქრა. გამყიდველი გოგონა – ნანული ამბროლიანი და მისი უფროსი დაკავებულები არიან, მაგრამ ორივე დუმს. ხონის მილიციიდან დარეკეს, რომ წერილი მისცეს მილიციელს, ვიღაცისთვის გადასაცემად. წერილი დალუქულია. ჩავედით ხონში, წერილი გავხსენი და, ლექსია. თურმე, 18 წლის ლამაზ ნანულის საქმრო ჰყავდა, რომელიც ხელიგნობის გამო ციხეში ჩასვეს. როცა ციხიდან გამოვიდა, ნანულის დედამ უთხრა, გოგოს ვეღარ გაგაყოლებო. ჰოდა, ამ ბიჭს გამოუგზავნია ეს წერილი-ლექსი, რომელიც ახლაც მახსოვს:

„ჩემო სულზე სანატრელო, საყვარელო ნანული,
დაგეძებ და ვერ გპოულობ, სად ხარ გადამალული?
გავიგე, რომ აგიყვანეს, შენ გაგხადეს ბულბული,
ციხის კარი დაიკეტა, გაუყარეს ურდული.
დედაშენი მე მწუნობდა – ციხეშია ნაჯდომი,
ახლა წადი და შენ ხეხე, რაც მე დამრჩა საჯდომი.
სიხარულით მოგელიან, ჩაის მწვანე ბუჩქები,
სასჯელს შეგიმსუბუქებენ, როცა გამოსწორდები“ (იცინის).

ნანულიმ აღიარა, რომ მაღაზიის უკანა ნაწილში, კედელზე ეკიდა ლენინის უზარმაზარი პორტრეტი, რომელიც დემონსტრაციებზე გამოჰქონდათ ხოლმე. ის ფარავდა სათავსოს შესასვლელს, სადაც რულონები იყო გადამალული. მერე ნანული გათხოვდა და კარგი ოჯახიც შექმნა. ამ საქმის წარმატებით დასრულების გამო, შევარდნაძესთან პირველად მოვხვდი. თბილისში გამომიძახეს შედეგების მოსახსენებლად. მინისტრთან წარგვადგინეს – უფროსი გამომძიებელი მაიორი ვარაზანაშვილი, უფროსი გამომძიებელი კაპიტანი კვარაცხელია, გამომძიებელი გვალია და გამომძიებელი გვარამია. სამივე ასაკოვანი კაცია და ჯგუფის უფროსი ვარ ახალგაზრდა ბიჭი, გამხდარი, მხრებში ცოტა მოხრილი, შავი თმით. შევარდნაძეს გაეცინა, – ესაა გვარამიაო?.. ეს იყო სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების პირველი საქმე, რომლის გამოძიება შსს-ს დაეკისრა. ამის შემდეგ დაიწყო ჩემი წინსვლაც. თუმცა, 5 წელი ისევ გამომძიებლად ვიმუშავე.

– შევარდნაძეზე ამბობენ, მკაცრი მინისტრი იყოო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– შევარდნაძე არაჩვეულებრივი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. თათბირებს ისე ატარებდა, გეგონებოდა, მისი თანატოლი ხალხი ვისხედით, უბრალოდ, ის **„თამადა“** იყო. კოლეგიის სხდომას რაც შეეხება, ასეთ დროს მკაცრი და დაუნდობელიც კი ხდებოდა. მე კოლეგიას ი‍შვიათად ვესწრებოდი – ეს ხდებოდა ჩემი თანამდებობაზე დამტკიცების ან დაჯილდოების დროს.

– ოჯახშიც წყნარი და მშვიდი ხართ? შვილები რას ამბობენ?

– შვილები ზედმეტად პატიოსნები გავზარდე: ერთი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეა, მეორე ექიმი. იურისტს საქმეზე არასოდეს არაფერს ვეკითხები. თუ რამე კაზუსია, იმ შემთხვევაში, ჩემს აზრს ვეუბნები.

– ბევრ ცნობილ პიროვნებასთან გიწევდათ ურთიერთობა. ვის გაიხსენებთ?

– გამსახურდიასა და კოსტავას კარგად ვიცნობდი. კოსტავა განათლებული, საოცრად მუსიკალური, თბილი, ძალიან პრინციპული, სუფთა და რკინასავით გაუტეხელი, ამავე დროს, გულჩვილი კაცი იყო. მასთან ვმეგობრობდი. გამსახურდიასთან ურთიერთობები მქონდა, მაგრამ არ ვმეგობრობდი.

– თქვენი პროფესია ხელს რაში გიშლიდათ?

– დილის 9 საათიდან ღამის 11-მდე სამსახურში ვიყავი. თანამდებობაზე ყოფნა იმას არ ნიშნავდა, რომ ღამის 2-3 საათზე არ წამოგაყენებდნენ. ყოფილა შემთხვევა, შუაღამეს მკვლელობის ადგილას გავსულვარ. ასე რომ, პირადი ცხოვრება თითქმის არ მქონდა.

ნანული ზოტიკიშვილი

მოგმართავთ თქვენ, ქუჯის, გიორგი ჭყონდიდელის, ცოტნე დადიანის, ამბროსი აღმსარებლის (ხელაიას), ლავრენტი ბერიას, კონსტანტინე გამსახურდიას, ილია ვეკუას, სიმონ ჯანაშიას და მრავალთა სხვათა ღირსეულ შვილთა ღირსეულ შთამომავლებს!

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინაც მოგმართეთ თხოვნით, რათა თქვენთვის ჩვეული მონდომებით ჩაგეტარებინათ არჩევნები, რომელიც იყო თანამედროვე დიდგორის ტოლფასი ბრძოლა, რაც ქართველმა ხალხმა, თქვენი დიდი მხარდაჭერით და ბიძინა ივანიშვილის თანადგომით, მოიგო! მართალია, **„ქართულმა ოცნებამ“** გაიმარჯვა ზოგადად, მაგრამ ზუგდიდში ალასანიას დიდი ძალისხმევით და რუდუნებით, **„ქოცები“** დამარცხდნენ! ისიც კარგად გვახსოვს, როგორ იყვნენ **„ნაცები“** შეყუჟულ-შემალულნი, ვიდრე არ მიხვდნენ, რომ **„ქოცები“** არაფრის მაქნისები არ იყვნენ სამართლიანობის აღდგენის კუთხით, მით უმეტეს, როცა სამეგრელოში, სამალავებში იპოვნეს უამრავი ფაილი და იარაღი, რომლებიც პირდაპირ მიუთითებდნენ **„ნაცების“** დანაშაულებრივ ნამოქმედარზე!

ვერავინ მოიპოვებდა ამაზე კარგ მასალას საზღვარგარეთელი პატრონების დასარწმუნებლად, თუ ვინ იყვნენ **„ნაცები“** და რას აკეთებდნენ 9 წლის განმავლობაში! ხელისუფლებას ჰქონდა უდიდესი კოზირი, რათა დაეწყო დამნაშავეთა სამართლებრივი დასჯა! ამ ზღვა მასალას რომ აჩვენებ მავანს, ვინც არ უნდა იყოს, ვეღარ გაგიბედავს სიტყვის შემობრუნებას! და ეს ყოველივე უნდა გაკეთებულიყო მოულოდნელად, ყოველგვარი ანონსების გარეშე, რაც დიდი დარტყმა იქნებოდა და ავადსახსენებელი **“ნაცები”** ხმას ვეღარ ამოიღებდნენ! რადგან ეს არ გააკეთეს, ნაცებმა

მიმართვა სამეგრელოსა და მეგრელებისადმი!

თანდათან ხმაში რიხი ჩაიყენეს! დაიწყეს მაღალ მატერიებზე საუბარი. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, არის მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების დიდი **„დამსახურება“!** რომ არა მათი უნიათობა, დღეს **„ნაცები“** არა თუ არჩევნებში მიიღებდნენ მონაწილეობას, საერთოდ ვერ გაბედავდნენ ქუჩაში გამოსვლასაც კი!

გაზეთ **„ასავალ-დასავალში“** ყოფილი პოლიტპატიმარი, ქალბატონი ქეთევან ზარნაძე ამბობს: **“ამ ბავშვების შურისძიების გეშინოდეთ, ნაძირლებო“!** (№38.გვ. 20). ყველაფერს ვიფიქრებდი და ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც ისეთივე საომარი სიტუაცია გვექნებოდა, როგორიც წინა არჩევნებისას! ეხლა კი რა ხდება? სამეგრელოს დედაქალაქში, ზუგდიდში, **„ნაცებმა“** იმდენად გაინავარდეს, რომ დეპუტატობის კანდიდატად, ადამიანის სხეულის ნაწილებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი სანდრა რულოვსი წარადგინეს! რაშია საქმე, მეგრელებო? სად არის თქვენი კოლხური შემართება და თავმოყვარეობა? ნუთუ ზოგიერთი ისე გაიტაცა სხვისი ნაშრომის მითვისებამ, რომ ამისთანა თავსლაფისდასხმასაც ეგუება?! სირცხვილი ჩვენი და თავისმოჭრა! სამეგრელოში უნდა გაიმარჯვოს მხოლოდ იმან, ვისაც გულწრფელად უყვარს საქართველო! არცერთი ხმა ანტიქართველს და ანტიმართლმადიდებელს!

მოგმართავთ თხოვნით, თქვენ, ჩემო სისხლო და ხორცო, და გეაჯებით, გახსოვდეთ, რომ თქვენ არ ხართ მხოლოდ მეგრელები, თქვენ ხართ ჭეშმარიტი კოლხი-ქართველები! თუ სამეგრელოში გაიმარჯვებს ქართული ჯიში და ჯილაგი, ეს გამარჯვება მოედება მთელ საქართველოს, რითაც გამოჩნდება თქვენი **„ცოტნეობა“,** თუ არა და საქართველო დაიღუპება! აბა, თქვენ იცით და თქვენმა ადამიანობამ! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ამ საშვილიშვილო საქმეში!

გფარავდეთ მამაზეციერი და დედა ღვთისმშობელი!

ორი დაღუპული მებრძოლის მამა,

ანზორი დანელია

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲘᲡ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ

ვაქვეყნებთ იმ ადამიანების სიას, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში პატიმართა წამების, არაადამიანური მოპყრობისა და გაუპატიურების ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმყოფებიან.

„1. **ᲯᲝᲜᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** – სასჯელაღსრულების მე-6 დაწესებულების ყოფილი ინსპექტორი და დირექტორის მოადგილე – სასამართლოს 2014 წლის 25 თებერვლის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ და ძირითად სასჯელად განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

2. **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ** – სასჯელაღსრულების მე-6 დაწესებულების რეჟიმის განყოფილების უფროსი – ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელად განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

3. **ᲕᲐᲨᲐ ᲪᲮᲕᲔᲓᲘᲐᲜᲘ** – სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულების დირექტორის ყოფილი პირველი მოადგილე და, გარკვეული ხნით, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი – სასამართლოს 2013 წლის 18 დეკემბრის განაჩენით, ცნობილი იქნა დამნაშავედ და ძირითადი სასჯელის სახით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა;

4. **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲛᲚᲐᲫᲔ** – სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულების დირექტორის ყოფილი მოადგილე – სასამართლოს 2013 წლის 18 დეკემბრის განაჩენით, ძირითად სასჯელად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

5. **ᲘᲝᲐᲜᲔ ᲚᲣᲗᲘᲫᲔ** – სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი – სასამართლოს 2013 წლის 18 დეკემბრის განაჩენით, ძირითად სასჯელად განესაზღვრა პატიმრობა 3 წლისა და 6 თვის ვადით;

6. **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲓᲐᲠᲙᲐᲕᲐ** – სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ყოფილი ინსპექტორი – სასამართლოს 2013 წლის 18 დეკემბრის განაჩენით, ძირითად სასჯელად განესაზღვრა 3-წლიანი პატიმრობა;

7. **ᲗᲔᲛᲣᲠ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ** – სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ყოფილი ინსპექტორი – სასამართლოს 2013 წლის 18 დეკემბრის განაჩენით, ძირითად სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;

8. **ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ** – სასჯელაღსრულების ზუგდიდის მე-4 დაწესებულების ყოფილი დირექტორი – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 ივლისის განაჩენით, ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 9 თვის ვადით;

9. **ᲠᲝᲛᲔᲝ ᲠᲝᲑᲐᲕᲐ** – სასჯელაღსრულების ზუგდიდის მე-4 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი მთავარი ინსპექტორი – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 ივლისის განაჩენით, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა პატიმრობა 3 წლითა და 6 თვით.

10. **ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲯᲘᲯᲝᲜᲐᲘᲐ** – სასჯელაღსრულების ზუგდიდის მე-4 დაწესებულების დირექტორის ყოფილი მოადგილე – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 თებერვლის განაჩენით, მიესაჯა 4-წლიანი პატიმრობა;

11. **ᲑᲐᲑᲐ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ** – სასჯელაღსრუოლების მე-2 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 მაისის განაჩენით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;

12. **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** – სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი ინსპექტორი – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 მაისის განაჩენით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 4 თვის ვადით;

13. **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲠᲡᲘᲐ** – სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 მაისის განაჩენით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 4 თვით;

14. **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲣᲮᲐᲘᲐ** – სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულების ყოფილი დირექტორი – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 მაისის განაჩენით, მიესაჯა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა;

15. **ᲜᲘᲙᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ** – სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი ინსპექტორი – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 მაისის განაჩენით, მიესაჯა 3 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა;

16. **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲭᲐᲙᲣᲐ** – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიული განყოფილების ყოფილი უფროსი – სასამართლოს 2013 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით, მიესაჯა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

17. **ᲠᲔᲕᲐᲖ ᲭᲐᲠᲑᲐᲫᲔ** – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის სოციალური განყოფილების ყოფილი უფროსი – სასამართლოს 2013 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით, მიესაჯა 3 წლითა და 9 თვით პატიმრობა;

18. **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲣᲮᲐᲫᲔ** – სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების ყოფილი დირექტორი – უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 27 იანვრის განაჩენით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით;

19. **ᲝᲚᲔᲒ ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ** – სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების სარეჟიმო განყოფილების ყოფილი უფროსი – სასამართლოს 2014 წლის 27 იანვრის განაჩენით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით;

20. **ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲧᲐᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** – სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ყოფილი უფროსი – უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 27 იანვრის განაჩენით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით“.

ᲒᲖᲐ ᲦᲕᲐᲜᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ყველაზე ადვილი იმ ადამიანების მიერ განვლილი ცხოვრების გზაზე სტატიების წერაა, რომელთაც რთული და მრავალმხრივი ბიოგრაფია გააჩნიათ. სწორედ ამ კატეგორიის ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ჩვენი მეგობარი, სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს“** აქტიური მხარდამჭერი, გაზეთ **“ილორის“** ერთგული მკითხველი და თანამებრძოლი ბატონი ჯუმბერ იზორია.

ჩვენი რესპონდენტი დაიბადა 1966 წლის 22 მარტს, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. კირცხში, გლეხის ოჯახში. მან დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდისას ჯუმბერ იზორია მონაწილეობდა ავდანეთის ომში, სადაც ორჯერ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მაინც სასწაულებრივ გადაურჩა უეჭველ სიკვდილს. დუშმანებთან ერთ-ერთი შეტაკებისას ლამის მთელი საბჭოთა ასეული განადგურდა, მხოლოდ მძიმედ დაჭრილი ჯუმბერი და მისი რამდენიმე დაჭრილი თანამებრძოლი იცავდნენ პოზიციებს მოძალებული მტრისაგან. ვაზნები უთავდებოდათ, ჯუმბერმა რგოლი მოხსნა ხელყუმბარას და გულში ჩაიხუტა, რათა ცოცხლად არ ჩავარდნოდა ხელში მტერს. ბედად, სწორედ ამ დროს მოუსწრო მაშველმა ძალამ! სამედიცინო დახმარებას კიდევ რამდენიმე წუთით რომ დაეგვიანა, საბედისწერო დასასრული გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი ბედნიერად დამთავრდა ჯუმბერისა და მისი თანამებრძოლებისათვის.

ამ და სხვა საომარ ბატალიებში მონაწილეობისათვის ჯუმბერ იზორია დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით – **„მხედრული მამაცობისთვის“**. გამოცდილი მეომარი ასევე თავგანწირვით იბრძოდა სხვადასხვა კონფლიქტურ ზონებში, იცავდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს პანკისის ხეობაში, მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს, სააკაშვილისა და მისი ბანდის მიერ დაწყებულ საომარ მოქმედებებში, სადაც მრავალი უდანაშაულო ადამიანი გადაარჩინა უეჭველ დაღუპვას.

1987 წლიდან ჯუმბერ იზორია მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროში რიგით პოლიციელად, სადაც მისი სიცოცხლე კვლავაც რისკის ზღვარზე გადის. აქაც რამდენიმე სერიოზულ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ თითქოს ღვთის ფარული ხელი იცავდა – უვნებელი გამოდიოდა უაღრესად სახიფათო სიტუაციებიდანაც კი. გარკვეული გამოცდილებისა და დამსახურების მიღების შემდეგ – 2000-2003 წლებში იგი მუშაობას აგრძელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასავლეთ საქართველოს საგანგებო ლეგიონის მე-3 სამმართველოს უფროსად. 2004-2005 წლებში დააწინაურეს სამეგრელო ზემო-სვანეთის საპატრულო პოლიციის უფროსის მოადგილედ. 2008-2012 წლებში მუშაობს ჩხოროწყუს რაიონის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსად. 2012 წლიდან 2016 წლის 10 სექტემბრამდე მუშაობდა სამეგრელო ზემო-სვანეთის ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს უფროსად. იგი ყოველთვის თვლიდა და თვლის, რომ საქართველომ ნორმალური საქმიანი ურთიერთობები უნდა დაამყაროს მეზობელ ქვეყნებთან.

ამრიგად, ჯუმბერ იზორია, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის 30-წლიანი გამოცდილების მქონე პიროვნებაა, რომელიც თვალნათლივ გამოირჩევა მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით, ადამიანობით, ქველმოქმედებით, ჰუმანურობით, პატრიოტიზმით, ვაჟკაცობით და ჭეშმარიტი ქართველობით.

ეს ადამიანი დღეს ჩხოროწყუს პარტია **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“** სიის 55-ე ნომერი არის. იგი უყვართ ჩხოროწყუელებს და მადლიერი მოსახლეობა მას დიდ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს! ჯუმბერ იზორია არა მხოლოდ ჩხოროწყუელთა, არამედ სამეგრელოს კანდიდატთა შორის ერთ-ერთი უდავო ფავორიტია. მას ყავს მეუღლე, სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი!!!

უეჭველია, რომ დეპუტატად არჩევის შემთხვევაში იგი მზრუნველობასა და ყურადღებას არ მოაკლებს თავის სათაყვანებელ კუთხეს.

სწორედ ამიტომ, ჩვენ, ჩვენის მხრივ, წარმატებას ვუსურვებთ ბატონ ჯუმბერ იზორიას!

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ

ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ

პრინც აშილ მიურატმა საქმეთა მმართველის, კლოდ რიბოს დახმარებით 1890 წელს, ზუგდიდში, პირველი გაზეთი გამოსცა. ფრანგულენოვანი გაზეთი ხელნაწერის სახით გამოდიოდა. მას Le Rambavia ერქვა.

ზუგდიდის მუზეუმის ექსპოზიციის კურატორმა ციალა თითმერიამ **„ლაივპრესს“** უთხრა, რომ გაზეთი ოთხი გვერდისგან შედგებოდა. იყო ყოველკვირეული და შაბათობით გამოდიოდა. მისი ფასი წელიწადში 18 მანეთს შეადგენდა. გაზეთს ჰყავდა გამომწერები, რადგან მაშინდელ სამეგრელოში ფრანგულის მცოდნეები მრავლად იყვნენ.

გაზეთში იწერებოდა როგორც ზუგდიდის, ასევე, საქართველოსა და ევროპის ამბები. დადიანების სასახლეში დაცულია მხოლოდ ერთი – 1892 წლის 25 იანვრით დათარიღებული ეგზემპლარი.

„გაზეთის ამ ნომრიდან ვიგებთ, რომ 18 იანვარს, ზუგდიდში ჩამოვიდა ფოთის ეპისკოპოსი, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს მღვდელ ჯიქიას დაკრძალვას. მან ისაუზმა ვარდების ვილაში („ვარდების ვილად“ იწოდებოდა აშილ მიურატის ერთ-ერთი სასახლე, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია) და სინანული გამოთქვა, რომ ვერ შეხვდა აშილ მიურატს, რომელიც დილითვე გამგზავრებულა რიყეში თავისი მამულების დასათვალიერებლად. ეპისკოპოსს ახლდა ბლაღოჩინი მიხეილ მეუნარგია (იონა მეუნარგიას მამა) და თავადი ჯანსუღი".

გაზეთის მეოთხე გვერდზე განთავსებულ ცნობას კი ასეთი სათაური აქვს – **„ძალიან სასწრაფოდ. ძალიან კარგი შეხედულების ქალიშვილი შესანიშნავი მზითვის პატრონი, სთავაზობს თავის გულს და ხელს ყმაწვილ კაცს, რომელიც ისურვებს იტვირთოს მისი ორმოცი წელი“.**

აქვე არის განცხადებების გვერდიც. **“ყოველდღე 12-დან 4 საათამდე მეზობელ ტყეში პროფესორი ტიურმელი სროლის გაკვეთილებს ატარებს. სროლა მიზანში, სროლა გაფრენილ ფრინველებზე, სროლა ადგილზე მდგომ ცხოველებზე. მოეწყობა ნადირობისა და თევზჭერის შემსწავლელთათვის სპეციალური კურსები. ჩატარდება ლექციები სხვადასხვა სახის პირუტყვისა და ნადირის შესახებ. მსურველებმა უნდა გადაიხადონ 10 მანეთი. ცნობისათვის მიმართონ გაზეთის ბიუროს“, არის სხვა განცხადებებიც** – ამბობს მუზეუმის თანამშრომელი.

მისივე თქმით, ცნობილია ასევე, რომ აშილ მიურატი აპირებდა საფრანგეთიდან სტამბის ჩამოტანას გაზეთის დასაბეჭდად, მაგრამ ეს იდეა ვერ განახორციელა. ფრანგულენოვანი გაზეთი ზუგდიდში 3 წლის განმავლობაში გამოიცემოდა.

ᲜᲐᲜᲐ ᲮᲣᲑᲣᲢᲘᲘᲐ

საზოგადოება ძალი და ღონეა ქვეყნისა!

ნუ დავივიწყებთ ადამიანს!

ხელისუფლების ნებისმიერი რგოლის არჩევნების მოახლოებისთანავე იზრდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ტემპერატურა, ზრდადი გეომეტრიული პროგრესიის ტემპით იბადებიან ახალ-ახალი სატელიტური პარტიები, ზვავივით იფრქვევა ფანტასტიკური დაპირებები. პარტიათა უმეტესობას, პოლიტიკოსს თუ პოლიტიკოსობის მსურველს სწორედ ახლა ახსენდებათ ხალხი, შეჭირვებული და მიუსაფარი ადამიანები, სწორედ ახლა ხდებიან საოცრად გულჩვილნი, სწორედ ახლა ახერხებენ თვალთაგან ცრემლთა დენას და ურცხვად აცხადებენ თავს ხალხისა და მამულისათვის თავდადებულ რაინდებად.

„მაღალი ტემპერატურის“ პირობებში ბევრმა ვერც შეინარჩუნა სადი აზრი, დაავიწყდათ მამულიც, ენაც, სარწმუნეობაც. ეროვნული ღირსება და ტრადიციები, ჩამორჩენილობად მონათლეს და სიცხიანი კაცის ბორგვით ერთმანეთს დაუწყეს დაუნდობელი ჭამა, რათა მიიღონ თანამდებობები, პრივილეგიები და გაიჩინონ უზრუნველი შემოსავლების საიმედო წყარო.

მავანთა და მავანთაგან რომელ ღირსებასა და დემოკრატიულობაზე შეიძლება საუბარი, როცა თავისი გუნდის წევრის განსხვავებული აზრიც ვერ აუტანიათ, მას მტრად ნათლავენ და ფსიქოლოგიურად ატერორებენ, რასაც ხშირად ფაშიზმის ელფერი დაჰკრავს.

ადვილი წარმოსადგენია, ასეთ პირობებში რა ელის იმ რიგით მოქალაქეს, რომელიც განსხვავებულ აზრს გამოთქვამს, თუკი საერთოდ, **„უბრალო მოკვდავს“** ვინმე ადამიანად მიიჩნევს ან მოსმენის ღირსად ჩათვლის!

დიახ, ხალხისადმი უყურადღებობა ოფიციოზს დღეს განუკურნებელ სენად ექცა და პოზიცია-ოპოზიციის მოჩვენებითი ურთიერთჯიჯგნაში ხელისუფლებამ ადამიანი დაივიწყა. ჩვენი რჩეულები და ჩვენი თანხებით დაქირავებული ჩინოვნიკები, როგორც კი მოკალათდნენ საოცნებო სავარძლებში, მაშინვე დაივიწყეს ხალხი. დღეს ფაქტიურად შეუძლებელია მინისტრებთან მოქალაქეთა მიღება, არავინ რეაგირებს განცხადებებსა და საჩივრებზე, პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატებმა დაივიწყეს მათი ამომრჩევლები და უხვად გაცემული დაპირებებიც, ადგილებზე ბევრგან არაა მოწესრიგებული მოქალაქეთა მიღება, საერთოდ არ ხდება განცხადებებზე რეაგირება.

სიტყვამ მოიტანა და აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ დღეს ხელისუფლების ყველა რგოლში დამახინჯებულადაა გააზრებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ფუნქციები.

დემოკრატიული საზოგადოების სრულყოფის ეს ეფექტური ფორმა ხელისუფლებამ დააკნინა და გამოიყენა ხალხთან ურთიერთობის თავიდან აცილების საიმედო ფარად. თქვენ ხშირად გაიგონებთ ბობოლა ჩინოვნიკებისგან **„მიმართეთ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსო“**.

დიდი საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა შეიძლება მართლაც გააკეთოს განცხადება საზოგადოებრივი აზრის სწორი მიმართულებით ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მაგრამ ეს ვერაფრით შეცვლის საზოგადოებასთან ჩინოვნიკთა უშუალო კომუნიკაციას და ანგარიშვალდებულებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ამოცანაა, უზრუნველყოს ხელისუფლების ცალკეული რგოლების თუ სტრუქტურების პასუხისმგებელ პირთა პერიოდული შეხვედრები საზოგადოებასთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, ცალკეულ ადამიანებთანაც.

თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების მუშაობის ეფექტურობის სრულყოფისათვის საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები, ეს ახალმა პარლამენტმა პირველ რიგში უნდა გააკეთოს.

საარჩევნო კამპანიის დროს დაპირებების უაზრობამდე მისწრაფებას ზღვარი რომ დავუდოთ, საჭიროა კანონი მკაცრად უკრძალავდეს დეპუტატობის კანდიდატს კონკრეტული სოციალური, საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტის დაპირებას, რამდენადაც ეს არაა დეპუტატის უშუალო ფუნქცია, სულერთია ის მაჟორიტარია, თუ პარტიული სიითაა არჩეული.

წინასაარჩევნო შეხვედრებზე საუბარი უნდა იყოს იმ კანონშემოქმედებით საქმიანობაზე, რომელიც ამომრჩეველს გადაუჭრის ყველა კონკრეტულ სოციალურ, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო თუ ბიზნესთან დაკავშირებულ პრობლემებს.

კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს დღეს არსებული სიმახინჯე, როცა პრემიერი წარადგენს პარტიის სახელით დეპუტატობის კანდიდატებს და **„ბალელშიკობს“** მათ. ვიცე-პრემიერი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელია, ხოლო მინისტრები, ქალაქის მერები თუ მუნიციპალიტეტების გამგებლები სახემღიმარნი **„ალაბაზებენ“** პრემიერისა და ვიცე პრემიერის ვოიაჟებს.

ეს სამარცხვინო ფაქტია და არ შევცდები თუ ვიტყვი – მარაზმია!

ნუ მოვიტყუებთ თავს, პრემიერი, ვიცე პრემიერი, მინისტრი, მერი თუ გამგებელი როგორც კაბინეტში, ასევე საარჩევნო მიტინგებზე განა ისევ პრემიერი, ვიცე პრემიერი, მინისტრი, გამგებელი და მერი არ არის?

ეს ჩინოვნიკები საერთოდ არ უნდა ერეოდნენ არჩევნების პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი პირადად აძლევენ ხმას რიგითი ამომრჩევლის რანგში. თუ მაინც და მაინც პარტიას მეტი გზა არ აქვს, მაშინ თანამდებობის პირმა პოსტი უნდა დატოვოს და საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობაზე სხვა პირი დაინიშნება.

ნუ მოვატყუებთ საზოგადოებას, ხალხს დემოკრატობანას თამაშით და ეს კანონმა უნდა უზრუნველყოს!

წინასაარჩევნო კამპანიისას პარტიების თავკაცები და მათი საპარლამენტო კანდიდატები ყველაფერზე ლაპარაკობენ, გარდა იმისა, რის შესახებაც მართლაც უნდა საუბრობდნენ.

ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობა თანამდებობით კი არა, ხალხის, საზოგადოების მხარდაჭერით განისაზღვრება. თუ ეს მხარდაჭერა და თანდგომა არ არის, მაშინ ნებისმიერი თანამდებობა ფიქტიურია და ხელისუფალი კარგავს ძალასაც და უფლებასაც. ის თანდათან სცილდება და გაურბის ხალხის ნაზრევს და არც გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს, რაც საზოგადოებაში გულისწყრომას, ინდიფერენტულობას იწვევს და ხელისუფლებაც ჰკარგავს ავტორიტეტს.

ხელისუფლების და ხალხის ნების ერთიანობა არის სახელმწიფოს ძლიერების საფუძველი, ამიტომ ხელისუფლების ყველა შტო უნდა უზრუნველყოფდეს მართვაში სამოქალაქო ჩართულობის სრულყოფას და გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას, რადგან სწორედ საზოგადოებაა ძალი და ღონე ქვეყნისა.

დიახ, ესაა დემოკრატიის ძირითადი პრინციპი, რაც ჩვენს რჩეულებს ავიწყდებათ ხოლმე.

მიმდინარე წლის მარტის თვეში საზოგადოებრივმა გაერთიანებამ **„სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადოებრივმა საბჭომ“** შეიმუშავა რეკომენდაციები და შესთავაზა იმერეთის მუნიციპალიტეტებს. საბჭოს ამ ნაბიჯს მაშინვე დაუჭირა მხარი იმერეთის გუბერნატორმა ბატონმა გივი ჭიჭინაძემ და იმერეთის მუნიციპალიტეტის გამგებლების და მერების საკონსულტაციო თათბირზე წარადგინა განსახილველად.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო ადგილობრივ ხელისუფლებებს სთავაზობდა ასეთ რეკომენდაციებს:

– საზოგადოებრივი აზრის უცილობელი გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღებისას და მუშაობაში მაქსიმალური გამჭირვალობის უზრუნველყოფა.

– ადგილზე მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის სრულყოფა, განცხადებებსა და საჩივრებზე ობიექტური და დროული რეაგირება.

– ხელისუფლების საქმიანობაზე სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელება, დემოკრატიული პროცესების სრულყოფა.

– ყველა მუნიციპალიტეტის გამგეობის და მერიის ადმინიტრაციულ შენობებში საზოგადოებრივი მისაღების უცილობელი შექმნა, რის გარეშეც შეუძლებელია ხელისუფლების დემოკრატიულობაზე საუბარი.

– მართვაში სამოქალაქო ჩართულობის გაღრმავება და სრულყოფა.

– ადამიანის უფლებების დაცვა.

– საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულება პირველ ხელმძღვანელთა პერიოდული ანგარიში საზოგადოებას, ანგარიშის ფორმების ეფექტურობის სრულყოფა.

– საბიუჯეტო თანხების განკარგვის კანონიერების და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

– ადმინისტრაციული ხარჯების მკვეთრი შემცირება, ადმინისტრაციებისა და სამსახურების პერსონალური შემადგენლობის ოპტიმალური დაკომპლექტება.

ცხადია, ესაა ის ელემენტარული მოთხოვნები, რომლის გარეშეც ხელისუფლება არაა დემოკრატიული, ვერ ჰპოვებს ხალხის მხარდაჭერას და დაკარგავს ძალაუფლებას.

აქვე უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ დღეს გუბერნატორის ადმინისტრაციების ფუნქციები იმდენად შეზღუდულია, რომ ისინი საჭირო გავლენას ვერ ახდენენ დაქვემდებარებული მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე, რაც შედეგს ვერ იძლევა. უთუოდ უნდა განხორციელდეს ცენტრალური ხელისუფლების უფლებების დეცენტრალიზაცია და დელეგირება გუბერნატორის ადმინისტრაციაზე.

იმერეთის თითქმის ყველა მუიციპალიტეტმა გაიზიარა ეს რეკომენდაციები, ხოლო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ გუბერნატორის ადმინისტრაციას მისწერა: **„აღნიშნული საკითხები არ შედის ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპენტეციაში“**. (მიმართვა 3 01/7763:05.04.2016წ).

რაა ეს? არაკომპეტენტურობა, შეცდომა თუ...

უფრო მეტიც, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა **„განმარტავს“, „წერილში მითითებული საკითხების განხილვა კანონშეუსაბამოდ მიგვაჩნია“**. (მიმართვა 31/1490:11.04.2016წ)

თურმე აღნიშნული საკითხების რეალიზაცია კი არა, განხილვაც კანონშეუსაბამო ყოფილა(!?)

ჭეშმარიტად სამარცხვინოა, სატირალი და სავალალო რომ არ იყოს!

კანონში არსად წერია, კაცი გამარჯობას რომ გეტყვის, შენც გამარჯობით უნდა უპასუხოო. მაგრამ ასე ვაკეთებთ მაინც. კანონში არსად წერია ქუჩაში შიშველი არ გაიაროო, მაგრამ ჩვენც ხომ მუდამ ჩაცმული დავდივართ.

ქალაქის მერი თუ მუნიციალიტეტის გამგებელი ხალხის არჩეულია და, აქედან გამომდინარე, ისინი ხალხის ინტერესების გამტარებელი უნდა იყვნენ. თუ ეს იციან, მაშინ შეიძლება რომელიმე მათგანს უარი ეთქვა საბჭოს რეკომენდაციების რეალიზაციაზე?

სხვათაშორის, ქუთაისში ფუნქციონირებს გაეროს **„დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“**, სადაც ჩვენც ვატარებთ საბჭოს სხდომებს.

ნუთუ ქუთაისის მერია, წყალტუბოს გამგეობა და მისთანანი, ვერ აცნობიერებენ რას ნიშნავს **„დემოკრატიული ჩართულობა“** და რატომ შეიქმნა ეს ცენტრი?

ეჭვგარეშეა, პირველ ხელმძღვანელთა ერთ ნაწილს წარმოდგენა არა აქვთ სამოქალაქო საზოგადოების არსსა და პრინციპებზე, რამდენადაც ამის გააზრებას პირველ რიგში სჭირდება ნება და ამასთან ერთად ინტელექტი, ნიჭი და საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობის სრულად გაანალიზება.

უნივერსიტეტის დამთავრებით ადამიანი პედაგოგად ვერ გამოდგება, თუ მის აზრსა და გენში არაა ჩადებული პედაგოგიური სული. თეატრალური ინსტიტუტი საერთოდ არ დაუმთავრებია გიორგი შავგულიძეს, მაგრამ მისმა ნიჭმა, ინტელექტმა და ქართულმა გენმა ის გენიალურ მსახიობად აქცია. ფიროსმანის ფენომენიც ამის დასტურია.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ დეპუტატსა და ჩინოვნიკს თავდაპირველად უნდა ჰქონდეს ნება, ეროვნული სული და შემდეგ ნიჭი, ინტელექტი და ინტუიცია.

დღევანდელი ვითარების ანალიზი ადასტურებს, რომ საკმაოდ რთული პრობლემები გვაქვს პარლამენტართა თუ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა, სხვა არჩევითი თანამდებობის პირთა, სახელმწიფო ჩინოვნიკთა აზროვნებაში ეროვნულობის, სატელიტიზმისა და უცხო გავლენისაგან თავის დაღწევის, მართვაში სამოქალაქო ჩართულობის სასიცოცხლო მნიშვნელობის, ადამიანებთან ადამიანური ურთიერთობის აუცილებლობის, გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებისა და ამ მიზნით კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე ზრუნვის თვალსაზრისით.

წინასაარჩევნო კრებებზე სწორედ ამ საკითხებზე უნდა იყოს დეპუტატობის ყველა კანდიდატის საფუძვლიანი და კომპენტენტური საუბარი, რაც არჩევნების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს, რათა დანაპირები და განზრახული რეალობად ვაქციოთ. ამასთან ახალმა პარლამენტმა დაუყონებლივ უნდა სრულყოს შესაბამისი კანონმდებლობა და შემოაბრუნოს ის ადამიანის, მოქალაქისა და საზოგადოების ინტერესებისაკენ.

ამ საკითხებზე როცა ვსაუბრობთ, მკითხველმა არ იფიქროს, მხედველობიდან გვრჩებოდეს დეპუტატობის კანდიდატთა შეხედულებები ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ქართული სულისა და ღირსების დაცვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც ყოველთვის უნდა მივიჩნიოთ პირველი პლანის პრობლემებად.

ასე, რომ მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში ახლა მაინც უნდა გაითვალისწინონ ამომრჩევლის განაწესი და წინა პლანზე წამოვწიოთ თვით ადამიანი, მისი ღირსება და უფლებები, ეროვნული თვითმყოფადობა, საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი, მართვაში დემოკრატიული, სამოქალაქო ჩართულობა, ხელისუფლების საქმიანობაზე სამოქალაქო მონიტორინგი, ხელისუფალთა ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე, რაც ყველა პრობლემის გადაჭრის საიმედო საფუძველის შექმნის.

მაშ, ნუ დავივიწყებთ ადამიანს!

ბენია თხილავა,
სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, ქუთაისის საპატიო მოქალაქე

ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲐ ᲡᲐᲓᲘᲡᲢ ᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲑᲐᲜᲓᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲗᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲡ!

ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲔᲗ ᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲡᲯᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ! — ᲝᲥᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ

საინფორმაციო სააგენტო "Share the post", სათაურით – **„შემოხაზეთ ის პარტია, რომელსაც თქვენი დაცვა და არა დასჯა შეუძლია!"** საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტის დავით ოქიტაშვილის განცხადებას ავრცელებს, რომელსაც გთავაზობთ:

"არჩევანის გაკეთება ყოველთვის უწევს ადამიანს. ყოველწუთიერად, ყოველდღიურად, ყოველწლიურად და ა.შ. ვირჩევთ მეგობრებს, ცოლს, ქმარს, სახლს... ასეთ ეტაპზეც კი იმედგაცრუება ძალიან რთულია, მაგრამ ყველაზე საპასუხისმგებლო, ალბათ, ის არჩევანია, რომელსაც 8 ოქტომბერს გააკეთებს ქართველი ხალხი. ყოველგვარი გულგრილობა და პრინციპი „ხელები დამიბანია" – ღალატია, ღალატი საკუთარი თავისა, ოჯახისა, ქალაქისა და სამშობლოსი. მოქალაქეობრივი უპასუხისმგებლობაა, რომელსაც არანაირი გამართლება არ აქვს ამ უმნიშვნელოვანეს არჩევნებზე. არჩევანი კი, როგორც არასდროს, უნდა იყოს ზნეობრივი, მორალთან და საკუთარ თავთან მართალი და არა პირადი, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესებით გაჯერებული.

შემოხაზეთ ის პარტია, რომელსაც თქვენი დაცვა და არა დასჯა შეუძლია. შემოხაზეთ ის პარტია, რომლის დროსაც თქვენ დარწმუნებული იქნებით, რომ თავისუფალი სივრცე, სიტყვა და მედია არასოდეს შეილახება. შემოხაზეთ ის პარტია, რომელიც დაიცავს თქვენს და თქვენი თანამოქალაქეების უფლებებს, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით, როგორც თავისუფალ გარემოში, ისე საპატიმროში, როგორც მატერიალური გაჭირვების, ისე მატერალურად უზრუნველყოფილი მდგომარეობის დროს.

საშიშია იმის გაფიქრებაც კი, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთა არჩევანიც – „ჩაკლული სულის", დახოცილი ბიჭების, წართმეული თავისუფლების „შემოქმედი" პარტია იყო და იქნება. სულერთია, „გადახალისებული სიებით" თუ ცოლით ქმრის ჩანაცვლებით, მაინც ერთნაირად ბოროტი და ზნედაცემული სხვადასხვა სატელიტ პარტიაში გადანაწილებული ე.წ. „გავარდნილები", რომლებიც ხალხს თვალში ნაცარს აყრიან და საკუთარი თავის ლანძღვას („გუშინ" ხომ ერთ საქმეს ემსახურებოდნენ) არ ერიდებიან, რათა „ხვალ" ისევ მეტი უბედურება შეამთხვიონ ისევე ხალხს.

ასე რომ, ყურადღებით ვიყოთ, წავიდეთ არჩევნებზე, გავიხსენოთ ჩვენი უახლესი წარსული. ადამიანები არ იცვლებიან, ნიღბებს იცვლიან და შევადაროთ იმ რეალობას, რომელიც დღეს მართლაც ბევრად უკეთესია, ხვალ კი – საუკეთესო იმედის საფუძველს იძლევა", – ნათქვამია ოქიტაშვილის განცხადებაში.

ᲡᲘᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲫᲛᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲓᲔᲑᲝ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲝ!!!

მასონური ამერიკის დაკვეთით მეოთხე ტრაგედია თამაშდება საქართველოში!

ქართველებო, ნუ დავუშვებთ მეოთხე საბედისწერო შეცდომას.

მინდა დავლოცო მთლიანად საქართველო! დავლოცავ ჩემი მამულის ყოველ კუთხეს, ქართულ ძირს, იქ შემონახულ ენას, ფარს, ხმალს, სჯულს, ვაჟკაცობას, ჩემს სისხლს, ღმერთის ენაზე, ნუ მოშლი საქართველოს კერას ბუდეს.

ჩემო დიდებულო და ლამაზო ქართველებო, ინტელექტის როლის შეფასებისას არაფრად აგდებთ ადამიანის არსს, თქვენ გგონიათ, რომ მდაბალი სულის ადამიანის ვერაგულ ხრიკებს შეუძლია ხელი შეუწყოს კეთილშობილური საქმის გამარჯვებას? ეცადეთ, არასოდეს აიცილოთ პასუხისმგებლობა დამარცხებისთვის. აუცილებელია ხალხის გადარჩენა, თორემ მემკვიდრეობა დაიღუპება.

საქართველომ აღმაშენებლები, რუსთაველები, საკაძეები, არსაკიძეები, თამარ მეფე, ილია ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა აღზარდა. მაგრამ საქართველოში პოლიტიკანები, გაიძვერები, სამშობლოს მოღალატეებიც ბევრი გაზრდილა, აქედან, ჩემგან ძალიან შორს, ჩემი წინაპრის ერთ პატარა, მაგრამ ულამაზეს ქვეყანაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ქვეყნის პრეზიდენტი, ულამაზესი რაინდი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, უაღრესად განათლებული, აიძულეს მეამბოხე ძალებმა ჯერ, სამშობლოდან გადახვეწილიყო, შემდეგ კი, მოკლეს. კანონიერი პრეზიდენტის დაცვის ორი უერთგულესი წევრი ისე გაუქრათ, რომ ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ ვერავინ გაიგო.

ამ ომში 30.000-ზე მეტი ქართველი პატრიოტი მოკლეს. ქართველმა მოღალატეებმა ნაწილი – მასობრივად დააპატიმრეს, ნაწილი – დასახიჩრებული, ნაწამები – უცხო ქვეყანაში გაიქცა.

ამაყი ვარ, რომ ჭეშმარიტი ქართველი ვსაუბრობ ღმერთის ენაზე. ამაყი ვარ, რომ ვარ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას **„კავკასიის ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის"** აქტიური მებრძოლი. ამაყი ვარ, რომ მოძრაობის 3.035 მებრძოლნი გამოირჩევიან უზარმაზარი ვაჟკაცობით, არნახული ინტელექტით, უკიდეგანო მამულის სიყვარულით.

ღმერთი არს ჩვენთან!

ᲐᲜᲓᲠᲝ ᲘᲑᲔᲠᲘᲔᲚᲘ,
დაბადებული აშშ-ში, ტეხასის შტატი,
ქართველი ამერიკელი,
სირია, დამასკო

ᲕᲘᲮᲡᲜᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲐᲡᲝᲜᲣᲠ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ, ᲛᲐᲡᲝᲜᲣᲠᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲜᲔᲚᲘ ᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ!

„სახარების მიხედვით, სულიწმინდის მისია არის კაცობრიობის ცოდვათა, ანუ "ყველა ენათა" ცოდვების მხილება, იგივე ეკისრება ქართველ ერს, რადგან საქართველო არის წილხვდომილი ღვთისმშობლისა" – ბრძანა ზვიად გამსახურდიამ.

მართლაც, სამშობლო უფრო მეტია, ვიდრე მიწა და წყალი, ვიდრე წარსული, აწყმო და მომავალი, ვიდრე სიყვარული და სიძულვილი, სამშობლო ღვთით დაკისრებული მოვალეობაა და ამ მოვალეობის აღსასრულებლად სამსახვერპლოზე მუდმივი დგომაა საჭირო.

სწორედ, ეროვნულ სულშია გაცხადებული დედამიწაზე ოდესმე მოსული ყოველი ადამიანის სიცოცხლე, მისი ღვაწლი და მისწრაფებანი, პატრიოტობა როდი ნიშნავს, მხოლოდ, საკუთარი ადგილსამყოფელის სიყვარულს, იგი, უპირატესად, ეროვნული სულის გაცნობიერებისათვისა და გაძლიერებისათვის თავდადებულ სამსახურს გულისხმობს.

ისტორიამ არაერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეროვნული ნების, იდეის, აზრის, ანუ სულის საწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის თაობა, რომელმაც ამ ღვთიური ვალის აღსრულება ვერ შესძლო (ან, არ შესძლო), არამედ მომდევნო თაობებიც, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის გახლავთ, რომ ძაბუნთა ან, მოღალატეთა მემკვიდრეებად მოევლინენ ქვეყანას. თაობა, რომელიც ეროვნული სულის ძლიერებისთვის არ იღვწის, განწირულია დასაღუპად, რადგან მას გაწყვეტილი აქვს კავშირი თავის წარსულ-მომავალთან და თავად, უფალთან.

ქართველი ერი დღევანდელი სამყაროს ერთერთი უხუცესი ერია. ქართველობა არც პროფესიაა, არც თანამდებობა, არამედ, იგი ღმერთის მიერ დაკისრებული მოვალეობაა და მანამდე არ მოგვასვენებს, ვიდრე, არ შევძლებთ ჩვენი ეროვნული მისიის აღსრულებას. ამ დიდ გზაზე ჩვენი სვლა არ დამთავრებულა. იგი შეფერხდა. მაგრამ სავალი ისევ გრძელია და ეკლიანი, ბრძოლაც რთული და უკომპრომისო იქნება.

წინსვლისათვის უკან მიხედვაცაა საჭირო, დღევანდელი ყოფის გააზრებაც და მტყუან-მართალის გარჩევაც, დანაშაულის აღიარებაც და მტერ-მოყვარისათვის საკადრისი პასუხის გაცემაც.

მასონური ამერიკის, მასონური ევროპის სტანდარტების მორგება ქართულ სხეულზე და ამით ქვეყნის გადარჩენის მოლოდინი მხოლოდ ფუჭი ოცნებაა. მიბაძვით ცხოვრება ერს სულიერი კრიზისიდან ვერ გამოიყვანს, სამშობლოს ბედით თამაში არამარტო უზნეობაა, არამედ, უფლის საწინააღმდეგო ქმედებაც!

მსოფლიოს ყველა კეთილი ნებისა და რწმენის ადამიანი სრულ პოლიტიკურ და ლოჯისტიკურ ურთიერთქმედებაში ვართ 134 ქვეყნისგან შემდგარი ალიანსის ფარგლებში, რომელიც კაცობრიობის სასიკეთოდ მუშაობს, რათა პლანეტა ვიხსანათ მასონური ამერიკის, მასონური ევროპის ბნელი ზრახვებისგან, ვამხილოთ მასონთა შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის, „კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" 3035 მებრძოლის სახელის სახელით:

ᲚᲐᲨᲐ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ, ᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲫᲔ, ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲛᲬᲘᲗᲣᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘ, ᲑᲔᲠᲓᲘᲐ ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲘ

სირია, დამასკო

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალადანას

ისტორიიდან: ქართველი ფეხბურთელების არშემდგარი ტრანსფერები ევროპულ გრანდებში

მაშინ ნიკას შეთავაზებები არ აკლდა და „პერუჯას“ პრეზიდენტმა ფრანგულ „ნანტზე“ უარი ათქმევინა. მაგრამ მალე ის კლუბის დირექტორთა საბჭომ პრეზიდენტის პოსტიდან გადააყენა.

მერე მოსკოვის „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვალენტინ ივანოვმა მიიწვია. მაგრამ მეორე დღეს შეიტყო, რომ ივანოვი მოხსნეს.

სამწუხაროდ, აგვისტოში საქართველოს ნაკრების ორი წევრის ტრანსფერი ჩაშალა. რუსული პრემიერლიგიდან გავარდნილი სარანსკის „მორდოვიადან“ საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი ისრაელში წავიდა და უმაღლესი ლიგის კლუბ თელ-ავივის „ბნეი იეჰუდასთან“ 2-წლიან კონტრაქტს აფორმებდა. მაგრამ ბოლო მომენტში ებრაულმა კლუბმა რევიშვილთან წინასწარ შეთანხმებული პირობები შეცვალა. ამაზე მეკარემ უარი თქვა, საქართველოში დაბრუნდა და კვლავ უგუნდოდაა.

30 აგვისტოს კი ძალიან გულდასაწყვეტი ამბავი შევიტყვეთ: „მარსელში“ თორნიკე ოქრიაშვილის ტრანსფერი ჩაიშალა. რა იყო მიზეზი, უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია - სამედიცინო შემოწმების შედეგები თუ ფეხბურთელის აგენტის, მამუკა ამიროვის მიერ foot01.com-თან ნათქვამი.

„მარსელი“ ნამდვილად იყო ოქრიაშვილით დაინტერესებული და კლუბშიც ვიყავით. მაგრამ ოქრიაშვილი ამ გუნდში არ გადავა, რადგან ერთი მხრივ „გენკი“ და „მარსელი“, ხოლო მეორე მხრივ ფეხბურთელი და კლუბი ვერ შეთანხმდნენ. ასე რომ, ჩვენ მარსელს ვტოვებთ“, – თქვა ამიროვმა.

მსგავსი რამ ქართველ ფეხბურთელებს რამდენჯერმე გადახდომიათ. დღეს სწორედ ამ ისტორიებს გავიხსენებთ...

ბორდოია და ჯაკობია

თორნიკე ოქრიაშვილი პირველი ქართველი არაა, რომელსაც ცნობილ ფრანგულ გუნდში გადასვლა ბოლო მომენტში ჩაეშალა. 1991 წლის ზამთარში, ჟენევაში, ტრადიციულ მინი-ტურნირზე, თბილისის „დინამო“ „ბორდოს“, ზაგრების „დინამოს“, შვეიცარიულ „სერვეტსა“ და სხვა ცნობილ გუნდებს შეხვდა. ფინალში „დინამომ“ ფრანგებთან 4:6 წააგო, მაგრამ საუკეთესო ფეხბურთელი თემურ ქეცბაია გახდა და „ბორდოში“ მიიწვიეს კიდეც. მაგრამ „დინამომ“ ფრანგებს მილიონი დოლარი მოსთხოვა და გარიგება არ შედგა.

მართალია, ნიჭიერმა მოთამაშემ კარიერა მაინც აიწყო, მაგრამ ამ ტრანსფერის შემთხვევაში გაცილებით უკეთეს დონეზე ითამაშებდა. სხვათა შორის, მომხდარის გამო, ქეცბაიას ხუმრობით „ბორდოია“ შეარქვეს.

ლაშა ჯაკობია ბელგიურ „სტანდარდში“ თამაშისას დაშავდა და ორი წელი უქმობდა. 2000 წელს მომჯობინდა და ფორმაში რომ შევიდა, მისით „პარი სენ-ჟერმენი“ დაინტერესდა და კონტრაქტიც გაუფორმა, მაგრამ... პრაქტიკისთვის ისევ ბელგიაში დააბრუნეს, კერძოდ – „აალსტში“, სადაც პირველივე შეხვედრაში საზარდულის ტრავმა მიიღო და 4 თვე მოედანს არ გაჰკარებია. პარიზულ კლუბსაც ისე დაცილდა, მისი ფორმით ერთხელაც არ უთამაშია.

ოპერაციისა და რეაბილიტაციის შემდეგ მაინც მომჯობინდა და მენეჯერმა როჯერ ანგოტემ მეორედ წაიყვანა „პარი სენ-ჟერმენში“, სადაც მწვრთნელი ლუის ფერნანდესიიყო და რონალდინიო, ოკოჩა და ანელკა თამაშობდნენ. მაგრამ ამხანაგურ შეხვედრაში ისევ საზარდულმა უმტყუნა.

ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ, ჯაკობიას უკრაინაში „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა და ხარკოვის „მეტალისტის“კაპიტანიც გახდა. 2007 წლის ბოლოს მას ანგოტე ისევ დაუკავშირდა და „ნანტში“ გადასვლა შესთავაზა. მაგრამ საფრანგეთის ნაცვლად, უკრაინულ პოლტავის „ვორსკლაში“ ჩაირიცხა - თურმე, კლუბის მეპატრონის, გაზის მაგნატ ალექსანდრ ჟივაგოს 7 წლის ვაჟი ლაშას ფანი ყოფილა და მამიკოს გუნდში საყვარელი ფეხბურთელის მიყვანა მოსთხოვა, მანაც გული არ დასწყვიტა და ჯაკობიას ზღაპრული პირობები შესთავაზა.

საბოლოოდ, ჯაკობიამ „ვორსკლა“ ისე დატოვა, მისი ფორმა ერთხელაც არ მოურგია და სინანულით იხსენებდა – ეს ჩემს კარიერაში ყველაზე დიდი შეცდომა იყოო.

იტალიელთა ქართული ექვსეული

1997 წელს, იტალიასთან თბილისში ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩის შემდეგ, ჩვენი ნაკრების მეკარე ნიკა ტოგონიძეს „იუვენტუსის“ მენეჯერმა კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. მას ერთწლიანი გეგმა ჰქონდა - ტოგონიძე 6 თვე არგენტინაში განათხოვრებით ითამაშებდა, შემდეგ ჯერ სერია A-ს „ბრეშაში“, ბოლოს კი „იუვენტუსში“ გადაიყვანდა. მაგრამ მენეჯერი ავარიაში მოხვდა, მძიმედ დაშავდა და, ცხადია, მოლაპარაკებაც შეწყდა.

„იუვენტუსში“ ტრანსფერი დავით მუჯირსაც ჩაუშალეს. 1999 წელს იტალიელებმა თბილისის „დინამოს“ მასზე ოფიციალური მოთხოვნა გამოუგზავნეს და მუჯირის სანაცვლოდ 300 ათასი დოლარი შესთავაზეს. მაგრამ იტალიელთა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ მოლაპარაკება შეწყვიტა, რადგან თბილისელებმა მუჯირის შემდგომი ტრანსფერიდან 25 პროცენტიც მოითხოვეს (როგორც კიევის „დინამოში“ კახა კალაძის ტრანსფერის შემთხვევაში), მუჯირი კი იტალიური გრანდის ნაცვლად, ტირასპოლის (მოლდოვა) „შერიფში“ აღმოჩნდა.

„იუვენტუსში“ მოხვედრის შანსი გიორგი ნემსაძესაც ჰქონდა. მაშინ ის შოტლანდიური „დანდის“ კაპიტანი გახლდათ და საუკეთესო ფორმაშიც იყო. ტურინში გადასვლაში მას გუნდის იტალიელი მთავარი მწვრთნელი ივანო ბონეტი შუამავლობდა. იმავე პერიოდში, ნემსაძეს გლაზგოს „სელტიკიც“ იწვევდა, მაგრამ... მძიმე ტრავმა მიიღო და ნახევარი წელი გაუცდა.

ზაზა ჯანაშია მოსკოვის „ლოკომოტივში“ თამაშობდა, როცა ევროპაში მიიწვიეს. 1999 წელს მისით „შტუტგარტი“, „ინტერი“ და „ლაციო“ დაინტერესდნენ. განსაკუთრებით „ლაციოს“ მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი აქტიურობდა, რომლის გუნდიც მაშინ თასების თასის და ევროპის სუპერთასის გამარჯვებული იყო. ჯანაშია იხსენებდა, რომ იტალიელები 4,5 თუ 5,5 მილიონ დოლარს იხდიდნენ, მოსკოველებთან კი კონტრაქტის ვადა ამოეწურა, მაგრამ... მაინც „ლოკომოტივში“ დარჩა.

საქმე ისაა, რომ ჯანაშიამ „ლაციოს“ ინტერესზე არაფერი იცოდა და ეს რამდენიმე თვის შემდეგ რკინიგზელთა გუნდის უფროსმა გაუმხილა - მას მიწვევებს „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი იური სიომინიც უმალავდა - ისე ვუყვარდი, ჩემი გშავება არ სურდაო, იხსენებს ჯანაშია.

2003 წელს, „რეინჯერსში“ გადასვლამდე, „რომა“ ზურაბ ხიზანიშვილს 5-წლიან კონტრაქტს სთავაზობდა. მაგრამ მალევე იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ არაევროკავშიერელებზე ლიმიტი დააწესა და ხიზანიშვილმა იფიქრა, რომ ამ შეზღუდვის გამო, თამაში აღარ მოუწევდა, კონტრაქტზე უარი თქვა და კვლავ „რეინჯერსის“ წინადადებას დათანხმდა.

საინტერესოა, რომ მილანის „ინტერისგან“ შეთავაზება ჰქონდა სფფ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტ ლევან კობიაშვილს, მაგრამ უარი თქვა – „ფრაიბურგში“ სათამაშო პრაქტიკა ამჯობინა.

მეკარეთა უიღბლობა

ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე ნიკა ტოგონიძე არშემდგარი ტრანსფერების მხრივ რეკორდსმენია. ბრაზილიურ „კორინთიანსთან“ წინასწარ გაფორმებული კონტრაქტი ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში დაწყებული ფინანსური კრიზისის გამო გააუქმა. კლუბს საბანკო ანგარიში გაუყინეს და ტრანსფერები რამდენიმე თვით აუკრძალეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი “კავკასია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალადანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იუმორი

ძირითადად ქალი ახალგაზრდაა, შემდეგ ისევ ახალგაზრდა, შემდეგ ნაკლებად ახალგაზრდა, მერე ახალგაზრდულად გამოიყურება და ამასობაში კვდება.

* * *

– თუ შეიძლება, ფული წინასწარ გადაიხადეთ! – ეუბნება ოფიციანტი კლიენტს.

– რაშია საქმე?

– თქვენ სოკო შეუკვეთეთ და, რა ვიცი, ამბობენ, ახლა სოკო საშიშიაო...

* * *

– ღალატობდა ევა ადამს? – ეკითხებიან სტუდენტს გამოცდაზე.

– რა თქმა უნდა.

– საიდან დაამტკიცებთ?

– თუ არ ღალატობდა, მაშინ ადამიანი მაიმუნისაგან როგორ წარმოიშვა?

* * *

ერთ-ერთ ქართულ საჯარისო ქვედანაყოფში სერჟანტი მოახსენებს პოლკოვნიკს:

– დააჯილდოეთ კაპრალი. მან მთელი პოლკი გადაარჩინა სიკვდილს!

– როგორ?

– მზარეული მოკლა.

* * *

– მამი, დღეს მანქანა მათხოვე, რა?!

– ფეხები რაღასთვის გჭირდება?

– ერთი – გაზისათვის, მეორე – მუხრუჭისათვის!

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.

დიმენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 “ილორი”

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალადანია**
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge